საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და საბიბლიოთეკო სტანდარტების ცენტრი

საავტორო უფლებების დაცვა ბიბლიოთეკაში

მეთოდურ – ინსტრუქციული წერილი
ბიბლიოთეკების დასახმარებლად

თბილისი
2004

შემდგენელი : ნ. ქავთარაძე
რედაქტორი : გ. თაყნიაშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. საავტორო უფლებების კანონი და მისი მნიშვნელობა.
2. საქართველოს კანონი ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”.
3. ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ავტორებად ცნობა.
4. საავტორო უფლებები გამოუქვეყნებელ დოკუმენტებზე ბიბლიოთეკებში.
5. აუდიოვიზუალური ნაწარმოებების გამოყენება ბიბლიოთეკებში .
6. საავტორო უფლებები კომპიუტერულ პროგრამებზე, მონაცემთა ბაზებზე და ინტერნეტის ქსელში.
7. ბიბლიოთეკების კომერციული საქმიანობა და საავტორო უფლებების პრობლემები.
8. დოკუმენტების სამართლებრივი დაცვა ბიბლიოთეკებში.
9. საავტორო უფლებების დაცვა აშშ-ის კანონმდებლობით.
10. საავტორო ჰონორარების მინიმალური განაკვეთები.
11. დანართი.
12. გამოყენებული ლიტერატურა.

საავტორო უფლებების კანონი და მისი მნიშვნელობა

საცნობარო გამოცემებში საავტორო უფლება განიხილება როგორც სამოქალაქო სამართლის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას ავტორებსა და საზოგადოებას შორის ლიტერატურული, მეცნიერული და ხელოვნების ნაწარმოებების შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. საავტორო უფლებების კანონმდებლობის მიღების აუცილებლობა გამოწვეული იყო ავტორების მიერ შემოქმედებითი მოღვაწეობის შედეგების დაცვისათვის. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის

კანონმდებლობაში არსებობს სპეციალური კანონები და სამთავრობო აქტები საავტორო უფლებების დაცვაზე.

ისტორიულად პირველ კანონს საავტორო უფლების შესახებ სპეციალისტები თვლიან აქტს, რომელიც გამოიცა ინგლისში 1710 წელს. ამ კანონით ავტორმა პირველად მიიღო უფლება თავისი ნაწარმოების დაცვისა და სხვის მიერ მისი გამოყენების აკრძალვისა. მე-18 საუკუნეში კანონი საავტორო უფლებების შესახებ მიიღეს საფრანგეთში, აშშ-ში, გერმანიაში, დანიაში, ესპანეთში და ნორვეგიაში. რუსეთში პირველი კანონი საავტორო უფლებების შესახებ გამოვიდა 1830 წელს, რომელიც მხოლოდ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე ვრცელდებოდა. მუსიკალური ნაწარმოებების ავტორთა უფლებების დამცავი კანონი უფრო მოგვიანებით იქნა მიღებული. საავტორო უფლებების დამარეგულირებელი კანონი ვრცელდებოდა საბჭოთა კაშირის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოშიც.

რუსეთმა 1993 წელს ადრე მოქმედი კანონი შეცვალა ახალი კანონით, რომელიც პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს. ამ კანონით მას მიეცა უფლება შეერთებოდა ბერნის კონვენციას ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ და აგრეთვე ჟენევის მსოფლიო კონვენციას საავტორო უფლებების შესახებ.

ბერნის კონვენცია ,,ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის შესახებ" დაიდო 1886 წელს. კონვენციაში მონაწილეობს 70-მდე ქვეყანა. ამ კონვენციის თანახმად საზღვარგარეთის მოქალაქეთა ნაწარმოებები დაცული უნდა იქნეს ისევე, როგორც კონვენციაში მონაწილე ქვეყნების მოქალაქეთა ნაწარმოებები. მინიმალური დაცვის ვადა განისაზღვრება ავტორის ცხოვრების პერიოდით და მისი გარდაცვალებიდან 50 წლის განმავლობაში.

ჟენევის მსოფლიო კონვენცია საავტორო უფლებების შესახებ ხელმოწერილი იქნა 1952 წელს (ძალაში შევიდა 1955 წ.). ეს კონვენცია მიღებული იქნა იუნესკოს ეგიდით და ამჟამად მასში შესულია 80 წევრი-ქვეყანა. საბჭოთა კავშირი მას შეუერთდა 1973 წელს. ეს კონვენცია ითვალისწინებს ავტორთა უფლებების დაცვას უფრო ნაკლები დროით, ავტორის სიცოცხლის განმავლობაში და მისი გარდაცვალების შემდეგ 25 წელი. დადგინდა აგრეთვე ნაწარმოების რეგისტრაციისა და გამოყენებისას საავტორო უფლების ნიშანი ©. ბერნის კონვენციისაგან განსხვავებით ჟენევის მსოფლიო კონვენცია საავტორო უფლებების შესახებ არ ვრცელდება ადრე გამოცემულ ნაწარმოებებზე. კონვენციის წევრი –ქვეყნები ერთნაირად იცავენ თავისი და სხვა ქვეყნების ავტორთა ნაწარმოებებს, მისი გამოცემის ადგილისა და ავტორის მოქალაქეობის მიუხედავად.

საერთაშორისო ხელშეკრულებების მიღებამდე ურთიერთობა სახელმწიფოებს შორის საავტორო უფლებების სფეროში ძირითადად ორმხრივი ხელშეკრულებებით რეგულირდებოდა. მაგ. რუსეთმა პირველად 1861 წელს დადო ხელშეკრულება საფრანგეთთან, რომელიც ხელს უწყობდა ფრანგი მწერლების ნაწარმოებების თარგმნას რუსულად და პირიქით.

აშშ-ში პირველი კანონი საავტორო უფლების შესახებ მიღებული იქნა 1790 წელს. ამ კანონის მიხედვით გათვალისწინებული იყო წიგნების, რუქებისა და ნახაზების ავტორთა უფლებების დაცვა. უფრო მოგვიანებით კანონი გავრცელდა გრავიურებზე, სპექტაკლებზე, ხელოვნების ნიმუშებზე, სიმღერების ტექსტებზე და სხვა შემოქმედებით ნაწარმოებებზე. 10 წლის შემდეგ დაარსდა კონგრესის ბიბლიოთეკა, რომლის ფონდის შევსებაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა 1870 წელს მიღებულმა კანონმა, რომელმაც დაავალდებულა ყველა მწერალი, პოეტი, კომპოზიტორი,

მხატვარი, გამომცემლები, ბიბლიოთეკისათვის მიეწოდებინა აშშ-ში რეგისტრირებული ყოველი ნაწარმოების სავალდებულო 2 ეგზემპლარი. ინტელექტუალური საკუთრების რეგისტრაცია დაევალა კონგრესის ბიბლიოთეკასთან არსებულ საავტორო უფლებების ბიუროს.

ამჟამად აშშ-ში საავტორო უფლებები რეგულირდება 1976 წელს მიღებული კანონით, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წელს. ეს კანონი მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში შევიდა ცვლილებები, რომლითაც ბიბლიოთეკებში დაშვებულია კანონით დაცული ნაწარმოებების გამოყენება და ფოტო-ასლის გადაღება კონკრეტულ შემთხვევებში. მაგ. ასლის გადაღება დაზიანებული ან გაცვეთილი ეგზემპლარების შესაცვლელად, სასწავლო ან სამეცნიერო თვალსაზრისით დოკუმენტის ნაწილების ასლის გადაღება, სასწავლო დაწესებულებებში ნაწარმოებების დემონსტრირება ან სახალხო შესრულება.

პირველად ამავე კანონში გაჩნდა ცნება ,,კეთილსინდისიერი გამოყენება". ამ ცნების განსაზღვრისას გაითვალისწინება ოთხი კრიტერიუმი: გამოყენების მიზანი (მაგ. არაკომერციული საგანმანათლებლო მიზნით), საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოების ხასიათი, გამოყენებული მასალის მოცულობა, ნაწარმოების გამოყენების გავლენა მის პოტენციურ კომერციულ ფასზე და გავრცელებაზე. 1976 წლის კანონის მიხედვით ,,კეთილსინდისიერი გამოყენების" კონცეფცია ეხება მხოლოდ საზოგადოებრივ ბიბლიოთეკებს (და არა კომერციულებს) და გამორიცხავს საავტორო უფლებებით დაცული დოკუმენტების ასლის გადაღებასა და გამოყენებას მოგების მიზნით.

1980 წელს აშშ-ის კონგრესმა საავტორო უფლებების კანონში შეიტანა შესწორება, რომლის თანახმად მისი მოქმედება გავრცელდა კომპიუტერულ პროგრამებზე. 1993 წელს პრეზიდენტ კლინტონის მიერ შეიქმნა სპციალური კომისია საინფორმაციო ინფრასტრუქტურის საკითხებზე, რომლის მიზანი იყო ტელეკომუნიკაციებისა და ინფორმაციის სფეროში ახალი პოლიტიკის შემუშავება. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა მთელი რიგი რეკომენდაციები აშშ-ის საავტორო უფლებების კანონმდებლობაში ელექტრონული გარემოს მიმართ ცვლილებების შესატანად. შემუშავებული იქნა ელექტრონული დოკუმენტების გამოყენების პირობები. მაგ. დაცვის უზრუნველსაყოფად ბიბლიოთეკებს მიეცა უფლება ელექტრონული დოკუმენტების ასლის გადაღებისა, სუსტი მხედველობის მკითხველთათვის დოკუმენტების დიდ ფორმატზე არაკომერციული რეპროდუცირება. მიღებული იქნა რეკომენდაციები არასანქცირებული ასლების გადაღებისაგან ელექტრონული დოკუმენტების დასაცავად.

ამ ბოლო წლებში ავტორთა უფლებების პრობლემები ახალ ელექტრონულ გარემოში განიხილება როგორც ნაციონალურ ასევე საერთაშორისო დონეზე. მასში მონაწილეობას იღებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთაც ურთიერთობა აქვთ ბიბლიოთეკებთან, გამომცემლობებთან და გამავრცელებლებთან. 1996 წელს ბარსელონაში (ესპანეთი) გაიმართა გამომცემელთა საერთაშორისო ასოციაციის 25-ე კონგრესი. მასში მონაწილეობა მიიღო 60 წევრმა-ქვეყანამ. მიღებული იქნა რეკომენდაციები, რომლებიც ძირითადად ეხება საზოგადოების ფართო ფენების უზრუნველყოფას ინფორმაციით, რომლებიც დაცულია საავტორო უფლებით. აიკრძალა ინფორმაციის გამოყენება იმ ხერხებით, რომლებიც ავტორების კანონიერ უფლებებს უსამართლოდ არღვევენ.

,,რეკომენდაციების" საშუალებით კონგრენსის მონაწილეებმა მიმართეს მოწოდებით მთელი მსოფლიოს ბიბლიოთეკარებსა და გამომცემლებს,

ელექტრონული გარემოს პირობებში მთელი საზოგადოების საუკეთესო მომსახურების მიზნით, პატივისცემით მოეკიდონ ორივე პროფესიის ვალდებულებებს. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ელექტრონულ გარემოში საავტორო უფლებების საკითხებს საბიბლიოთეკო ასოციაციებისა და დაწესებულებების საერთაშორისო ფედერაცია (IFLA). ამ საკითხებს მიეძღვნა გენერალური კონფერენცია პეკინში, 1996 წელს. დაგეგმილია დაარსდეს IFLA-ს კომისია საავტორო უფლებების საკითხებზე.

ელექტრონულ გარემოში საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო შეთანხმებების გადახედვის საკითხებს ეხებოდა ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ВОИС) კონფერენცია ჟენევაში (1996 წ.). ამ კონფერენციის მიზანი მდგომარეობდა ბერნის კონვენციაში ცვლილებების შეტანა თანამედროვე დონის შესაბამისად, ელექტრონული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების საშუალებების განვითარებისა და გამოყენების ტენდეციით.

ბიბლიოთეკების ფუნქციები საავტორო უფლებების კანონმდებლობით განისაზღვრება. საავტორო უფლებები, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა აშშ-ში, ყოველთვის მიილტვოდა იქითკენ, რომ სხვადასხვა მხარის ინტერესები გაეწონასწორებინა. კანონის თანახმად ავტორები და შემოქმედნი იღებენ გარკვეულ მონოპოლიურ უფლებებს და შესაბამისად ადეკვატურ გასამრჯელოს, რაც სტიმულის მიმცემია ინტელექტუალური ნაწარმოების შესაქმნელად. მაგრამ, ავტორები რაიმე სახით იზღუდებიან, იმისათვის, რომ კონსტიტუციის თანახმად ხელი შეუწყონ მეცნიერებისა და ხელოსნობის განვითარებას. საავტორო უფლებები არეგულირებენ ურთიერთობას ავტორებსა და საზოგადოებას შორის, რომელიც წარმოიქმნება ლიტერატურული, მეცნიერული და ხელოვნების ნაწარმოებების გამოყენებასთან დაკავშირებით. ბიბლიოთეკებში საავტორო უფლებების დაცვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბიბლიოთეკების მიერ სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთი საბაზო პრინციპის ფუნქციონირების რეალიზაციასთან: ყოველი მოქალაქის უფლებაა მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

ბიბლიოთეკა წარმოადგენს ძირითად შუამავალს საავტორო უფლების მფლობელსა და ინფორმაციის მომხმარებელს შორის. ბიბლიოთეკა – ეს არის ადგილი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან საზოგადოება და მესაკუთრენი. ბიბლიოთეკარები და მათი გაერთიანებები ყურადღებით ეკიდებიან მათ შორის წონასწორობის დაცვის საკითხს. მათ კარგათ აქვთ შეგნებული, როგორც შემოქმედთა უფლებების დაცვის აუცილებლობა, ასევე მომხმარებელთა.

საავტორო უფლება ეს არის სამოქალაქო კანონმდებლობის ნაწილი, ის არეგულირებს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების გამოყენების ურთიერთობებს. მასში მონაწილეობენ ნაწარმოების ავტორები, მათი მემკვიდრეები და საავტორო უფლებების სხვა მფლობელები. აგრეთვე ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნაწარმოების გამოყენებითა და გავრცელებით, რომელთა რიცხვში გამომცემლობებთან, რედაქციებთან დ გამავრცელებლებთან ერთად არიან ბიბლიოთეკებიც.

ბიბლიოთეკებმა და მისმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ თავისი უფლებები და მოვალეობანი საავტორო ნაწარმოების მიღებისა და გამოყენების დროს, განსაკუთრებით კი მისი რეპროდუქციისა და ასლის გადაღებისას. საავტორო უფლება გამოიხატება უპირველეს ყოვლისა უკვე გამოქვეყნებული ნაწარმოების გავრცელების, რეპროდუქციისა და ასლის გადაღების უფლებებში. ამასთანავე, საავტორო უფლებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მკითხველ-მომხმარებელს

ბიბლიოთეკის ფონდის გამოყენებისას. ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" კანონის თანახმად ბიბლიოთეკა ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა უფლებები საბიბლიოთეკო მომსახურებაზე. ბიბლიოთეკა აძლევს მკითხველს უფლებას ნახოს, აირჩიოს, მოითხოვოს დოკუმენტი თავისი ინტერესების შესაბამისად, მაგრამ მისი გამოყენებისას დაიცვას საავტორო უფლებები, როგორც კანონშია მითითებული და არ გამოიყენოს დოკუმენტი კომერციული მიზნებით.

საქართველოს კანონი ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ"

საქართველოში საავტორო უფლებების კანონი უკვე არსებობდა 1924 წელს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საჭირო შეიქნა ახალი კანონის მიღება და საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წლის 22 ივნისს (კანონის ტექსტი იხ. ინტერნეტში www.parliament.ge) მიღებული იქნა კანონი ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ", რომელიც თავისი შინაარსით შეესაბამება საერთაშორისო ნორმებს. ამ კანონში შეტანილი იქნა ცვლილებები 1999 წლის 9 სექტემბერს, 2000 წლის 12 მაისს და 2002 წლის 10 ოქტომბერს.

ამ კანონის მიზანია, დაიცვას საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, რომელიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და გამოყენების დროს (საავტორო უფლებები), აგრეთვე ზოგიერთი მომიჯნავე უფლება, დაკავშირებული შემსრულებლებთან, ფონოგრამის, ვიდეოგრამისა და მონაცემთა ბაზების დამამზადებლებთან და მაუწყებლობის ორგანიზაციებთან (მომიჯნავე უფლებები). (მუხლი 1)

კანონი ვრცელდება:

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, შესრულებაზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებზედაც საავტორო ან მომიჯნავე უფლებათა მფლობელია საქართველოს მოქალაქე, საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ფიზიკური ან იურიდიული პირი;

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, ფონოგრამასა და ვიდეოგრამაზე, რომლებიც პირველად გამოიცა საქართველოს ტერიტორიაზე;

შესრულებაზე, რომელიც პირველად განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე;

იმ მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც არიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაფუძნებული იურიდიული პირები და პროგრამებს გადასცემენ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული გადამცემების მეშვეობით;

არქიტექტურულ ნაწარმოებებზე, რომლებიც განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე, მიუხედავად მათი ავტორების მოქალაქეობისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა;

მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების სხვა ნაწარმოებებზე,შესრულებაზე, ფონოგრამასა, ვიდეოგრამასა და მაუწყებლობის ორგანიზაციათა გადაცემებზე, რომლებიც დაცულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად, რომელთა მონაწილეც არის საქართველო. (მუხლი 3)

,,ავტორად" ითვლება ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები.

<u>საავტორო უფლების ობიექტებად</u> ითვლება ის ნაწარმოებები რომლებზედაც საავტორო უფლება ვრცელდება: მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, განურჩევლად მისი დანიშნულებისა და ავკარგიანობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებია;

1. ლიტერატურული ნაწარმოები (წიგნი, ბროშურა, სტატია, კომპიუტერული პროგრამა და სხვ.);
2. დრამატული ან მუსიკალური ნაწარმოები;
3. მუსიკალური ნაწარმოები ტექსტით ან უტექსტოდ;
4. აუდიოვიზუალური ნაწარმოები (კინო-, ტელე-, ვიდეოფილმები და სხვ.);
5. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები;
6. დეკორატიულ-გამოყენებითი ან მონუმენტური ხელოვნების ნაწარმოები;
7. თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოები;
8. ფოტოგრაფიული ნაწარმოები;
9. რუქა, გეგმა, ესკიზი, ილუსტრაცია და სხვა მსგავსი ნაწარმოები, რომელიც მიეკუთვნება გეოლოგიას, გეოგრაფიას,კარტოგრაფიას და სხვ. დარგებს;
10. გადამუშავებული მხატვრული ნაწარმოები (თარგმანი, ადაპტაცია, ეკრანიზაცია, ინსცენირება ან მუსიკალური არანჟირება და სხვ.)
11. შედგენილი ნაწარმოები (კრებული, ენციკლოპედია, ანთოლოგია, მონაცემთა ბაზა და სხვ.);
12. კომპიუტერული პროგრამები.

(მუხლი 6)

საავტორო უფლება ვრცელდება, როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებზე, რომელიც არსებობს რაიმე ფორმით. **საავტორო უფლება არ ვრცელდება ოფიციალურ დოკუმენტებზე (კანონებზე, სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, ადმინისტრაციულ და ნორმატიული ხასიათის სხვა დოკუმენტებზე) და მათ თარგმანებზე; სახელმწიფოს ოფიციალურ სიმბოლოებზე (დროშა, გერბი, ჰიმნი, ფულის ნიშნები და სხვ.) იდეებზე, მეთოდებზე, პრინციპებზე, სისტემებზე, საშუალებებზე, კონცეფციებზე, პრინციპებზე, აღმოჩენებზე, ინფორმაციებზე ფაქტებისა და მოვლენების შესახებ. (მუხლი 8)**

საავტორო უფლების მისაღებად ნაწარმოები ტარდება რეგისტრაციაში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სახელმწიფო სააგენტოს რეესტრში. რეგისტრაციის შემდეგ რეგისტრანტს ეძლევა სერტიფიკატი, რის შემდეგ მას ეძლევა უფლება გამოიყენოს საავტორო უფლების დაცვის ნიშანი, რომელიც დაისმება ნაწარმოების ყოველ ეგზემპლარზე. ეს ნიშანი შედგება სამი ელემენტისაგან: 1) ლათინური ასო C წრეწირში - © ;
2) საავტორო უფლების მფლობელის სახელი (დასახელება); 3) ნაწარმოების პირველი გამოცემის წელი. (მუხლი 9)

კანონში მითითებულია, რომ საავტორო უფლება ნაწარმოებზე ერთობლივად ეკუთვნის თანაავტორებს, შემდგენლებს (მასალის შერჩევასა და განლაგებაზე), გადამუშავებული ნაწარმოებების ავტორებს, გამომცემლებს, აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორებსა და თანაავტორებს. (მუხლები 12, 14, 15)

საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები ვრცელდება შემსრულებლებზე, ფონოგრამის ან ვიდეოგრამის დამამზადებლებზე და მაუწყებლობის ორგანიზაციებზე. შემსრულებელი მოქმედებს შესრულებული ნაწარმოების ავტორის უფლებათა დაცვის პირობით. ფონოგრამის დამამზადებელი ან შემსრულებელი

თავისი უფლებების განცხადებისათვის იყენებს მომიჯნავე უფლების ნიშანს, რომელიც დაისმება ფონოგრამის ყოველ ეგზემპლარზე. ნიშანი შედგება სამი ელემენტისაგან: 1. ლათინური ასო R წრეწირში ®, 2. განსაკუთრებული მომიჯნავე უფლების მფლობელის სახელი (დასახელება), 3.ფონოგრამის პირველი გამოცემის წელი. (მუხლი 46)

კანონის თანახმად საავტორო უფლება წარმოიშობა ნაწარმოების შექმნისთანავე და მოქმედებს ავტორის სიცოცხლეში და მისი გარდაცვალების შემდეგაც. საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობით საქართველოში საავტორო უფლებათა მოქმედების ვადა 1973 წლის 1 ივნისამდე შეადგენდა 15 წელს ავტორის გარდაცვალების დღიდან. როდესაც საბჭოთა კავშირი საავტორო უფლებათა მსოფლიო კონვენციას შეუერთდა, საავტორო უფლებათა დაცვის ვადა 25 წლამდე განისაზღვრა. იგი მოქმედებდა 1995 წლის 1 მაისამდე, მანამ, სანამ საქართველო გახდებოდა ბერნის კონვენციის მონაწილე, რის შემდეგაც საავტორო უფლებათა ვადა გაიზარდა 50 წლამდე ავტორის გარდაცვალებიდან. 1999 წლიდან ეს ვადა გაიზარდა 70 წლამდე. იმ ნაწარმოებებზე კი, რომელებიც ფსევდონიმით ან ანონიმურად გამოქვეყნდა, ეს ვადა მოქმედებს 70 წლის განმავლობაში მისი გამოქვეყნების თარიღიდან. საავტორო უფლება თანაავტორობით შექმნილ ნაწარმოებზე მოქმედებს თითოეული ავტორის სიცოცხლეში და უკანასკნელი თანაავტორის გარდაცვალებიდან 70 წლის განმავლობაში. (მუხლი 32)

ნაწარმოებთან დაკავშირებული ავტორობის უფლების, სახელის უფლების, ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლების დაცვა ხორციელდება უვადოდ. დაუშვებელია სხვა ავტორის მიერ ნაწარმოების სახელწოდების ან სხვისი ფსევდონიმის გამოყენება. (მუხლი 33). ნაწარმოები, რომელზედაც საავტორო უფლების მოქმედების ვადა გასულია, შეიძლება გამოიყენოს ნებისმიერმა პირმა საავტორო ჰონორარის გადახის გარეშე, ამასთან დაცული უნდა იყოს ავტორობის, სახელის, ნაწარმოების ხელშეუხებლობისა და რეპუტაციის პატივისცემის უფლება.(მუხლი 34).

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა განზრახ დარღვევა იწვევს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას. საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევად ითვლება საავტორო სამართლით დაცული ნაწარმოების უნებართვო გამოყენება. მათ შორის ისეთის, როგორიცაა სხვისი ნაწარმოების რეპროდუცირება, გაყიდვა, გაქირავება, საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემა, ნაწარმოების საჯარო შესრულება, ნაწარმოების ხმის ჩანაწერის დამზადება, საჯარო გადაცემა ეთერში, თარგმნა და ადაპტირება და ა.შ. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევის მნიშვნელოვან სახედ კონტრაფაქციას მიიჩნევს. კონტრაფაქცია ნიშნავს საავტორო ობიექტის არაკანონიერ (არასანქცირებულ) გამოყენებას კომერციული მიზნებისათვის. კონტრაფაქტორთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს მის მიერ წარმოებული ნაწარმის ჩამორთმევა და განადგურება. კონტრაფაქცია, თავის მხრივ, იყოფა კიდევ სახეებად, როგორიცაა: პლაგიატია (ნაწარმოების მითვისება, გამოქვეყნება საკუთარი სახელით), მეკობრეობა (ანუ პირატობა, ნაწარმოების ეგზემპლარების კომერციული მიზნით, უნებართვოდ ნებისმიერი ფორმით დამზადება, კვლავწარმოება და გავრცელება მოგების მიზნით) და ბუთლეგერობა (ანუ მეკობრეობა მომიჯნავე უფლებების სფეროში, ცოცხალი შესრულების უნებართვოდ ჩაწერა, რეპროდუცირება და ვაჭრობა).

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ავტორებად ცნობა

საქართველოს კანონი ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საავტორო უფლების ობიექტებად თვლის მონაცემთა ბაზებს, ყველა სახის ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, რეკომენდაციულ და თემატურ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, ლიტერატურის ანოტირებულ სიებს, რეფერატების მიმოხილვებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ მაჩვენებლებს და ბიბლიოთეკის სხვა ინტელექტუალური სახის ნაწარმოებებს. საავტორო უფლების ობიექტად კანონი თვლის აგრეთვე წარმოებულ, გადამუშავებულ და შედგენილ ნაწარმოებებს.(მუხლები: 12; 13; 14; 15) მათ რიცხვშია ენციკლოპედიები, ანთოლოგიები, მონაცემთა ბაზები, ელექტრონული კატალოგები და კარტოთეკები, ელექტრონული ბიბლიოგრაფიები, ელექტრონული ბიბლიოთეკები და სხვა გამოცემები, რომლებიც ლიტერატურული მასალის შერჩევით, სისტემატიზაციითა და განლაგებით შემოქმედებითი შრომის ნაყოფს წარმოადგენს, იმის მიუხედავად ინფორმაცია რა სახის მატარებელზეა წარმოდგენილი (ოპტიკური კომპაქტ-დისკები, ვრცელდება ელექტრონული ქსელით თუ ბეჭდური გამოცემის სახით). კანონით დადგენილია, რომ წარმოებული და შედგენილი ნაწარმოებები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვაგვარ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს, რეზიუმეს, რეფერატს, მიმოხილვებს, დაცულია საავტორო უფლებით, იმის მიუხედავად, არის თუ არა საავტორო უფლების ობიექტი ნაწარმოები, რომელზედაც ის შეიქმნა ან რომელსაც ის შეიცავს.

კანონის თანახმად ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომელთაც შეადგინეს ან მონაწილეობა მიიღეს ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა და სხვადასხვა საინფორმაციო, სამეცნიერო და მეთოდური გამოცემების შედგენაში, თარგმნასა და გამოცემაში ავტორებს წარმოადგენენ. კანონის ეს დებულება ითვალისწინებს აგრეთვე შემდგენლის მიერ ნაწარმოებში გამოყენებული ყველა მასალის ავტორის უფლებების დაცვას.

საავტორო უფლებების კანონის მიხედვით ბიბლიოთეკაში სამართალურთიერთობა იმ სამსახურებრივ ნაწარმოებებზე, რომელიც შექმნილია თანამშრომლების მიერ, როგორც სამსახურებრივი დავალება, რეგულირდება ნორმებით. სამსახურებრივი ნაწარმოების ნიშნები გააჩნია სამეცნიერო-მეთოდური მუშაობისათვის გათვალისწინებულ ნაწარმოებებს. ასეთი ნაწარმოებები ბიბლიოთეკის შტატიანი თნამშრომლების მიერაა შესრულებული.

ურთიერთობა სამსახურებრივი დავალების დროს შექმნილი ნაწარმოების ავტორსა და სამუშაოს მიმცემი ბიბლიოთეკას შორის რეგლამენტირებდა შრომითი ხელშეკრულების ან კონტრაქტის საშუალებით. ამ დოკუმენტში შეიძლება გათვალისწინებული იყოს პირადი არაქონებრივი და სახელის უფლებები, ავტორობის უფლება, შექმნილი სამსახურებრივი ნაწარმოების გამოყენების უფლება. მაგ.: გამოუშვას წიგნის სახით, გამოკიდოს ინტერნეტში და ა.შ. ამასთანავე დაადგინოს ავტორისათვის ჯილდოს გადახდა, მისი ზომები და სხვა პირობები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

მატერიალური დაინტერესების სისტემა იმ თანამშრომლებისა, რომელთაც შექმნეს ნაწარმოები (ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი, მეცნიერული შრომების კრებულები, ჟურნალების სტატიების ბიბლიოგრაფია და ა.შ.), ნაწარმოების გამოყენებისათვის ითვალისწინებს დამატებითი ანაზღაურების გადახდას.

დიდ ბიბლიოთეკებში ბიბლიოგრაფიული მუშაობის დროს ხშირად გამოიყენება ცნება ,,კოლექტიური ავტორი" ან ,,კოლექტიური შემდგენელი". ეს მაშინ ხდება, როდესაც ნაშრომის შედგენაში მონაწილეობა მიიღო დიდმა საავტორო კოლექტივმა, ერთი ან რამოდენიმე საბიბლიოთეკო-საინფორმაციო დაწესებულებამ. კანონში კოლექტიურ ავტორებზე არ არის არაფერი ფიქსირებული, არის მხოლოდ ცნება ,,ავტორი"- ფიზიკური პირი, რომლის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია ნაწარმოები. ეს შემთხვევა ითვლება ,,სამსახურებრივ ნაწარმოებად", რომელიც შედგენილია ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, როგორც სამსახურებრივი დავალება. (მუხლი 16) ასეთ ნაწარმოებზე გარკვეული უფლებები აქვს სამუშაოს მიმცემს ანუ დამკვეთს. ბიბლიოთეკა წყვეტს საკითხს – მზად არის თუ არა ნაწარმოები, რომ ის გამოსცეს ან გამოკიდოს ინტერნეტში, ჩართოს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. ავტორი იტოვებს მხოლოდ არაქონებრივ უფლებებს, თუ მათ შორის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათალისწინებული.

საავტორო უფლებები გამოუქვეყნებელ დოკუმენტებზე ბიბლიოთეკებში

გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებში, ტრადიციული ნაბეჭდი წყაროებისაგან განსხვავებით, ჩართულია ცნობები გამოუქვეყნებელი დოკუმენტების შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია ხელნაწერის ან მანქანაზე დაბეჭდილის სახით. გამოუქვეყნებელი დოკუმენტები შეიცავენ სამეცნიერო თათბირების, სემინარების, ლექციების, რეფერატების, განხილვების, ბიბლიოგრაფიული სიების, ანალიტიკური ცნობების, ხელნაწერი სცენარების, მეთოდური და სხვა სახის მასალებს. ასეთი საინფორმაციო დოკუმენტები მრავლად მოიპოვება ქვეყნის დიდ ბიბლიოთეკებში, საჯარო და უმაღლესი სასწავლებების ბიბლიოთეკებში.

ბიბლიოთეკების ფონდების ახალი საინფორმაციო დოკუმენტებით ფორმირებისას დიდი ყურადღება ეთმობა საავტორო უფლებებს, რომელიც ეხება გამოუქვეყნებელი დოკუმენტების გამოყენებას. ,,საავტორო უფლებებისა და მომიჯნავე უფლებების შესახებ" კანონის თანახმად საავტორო უფლებების ობიექტად ითვლება ყველა ნაწარმოები, გამოქვეყნებულია ის თუ არა (მუხლი 5.2), მისი დანიშნულებისა და უპირატესობის მიუხედავად. ეს ნიშნავს იმას, რომ საავტორო უფლება ერთნაირად იცავს მაღალი მეცნიერული მნიშვნელობისა და დაბალი ხარისხის ნაწარმოებებს. დისერტაციებისა და ავტორეფერატების ხარისხს, მის უპირატესობას მეცნიერების განვითარების საქმეში ადგენს დისერტაციების საბჭო. სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება დისერტაციის გამოცემის, მისი მოცულობის და ტირაჟის დადგენისა.

გამოუქვეყნებელი ნაწარმოები, როგორც შრომის შემოქმედებითი ნაყოფი, წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს იმ პირობით, რომ ის უნდა გამოიხატებოდეს რაიმე ფორმით: ხელით ნაწერი (ან მანქანით ნაბეჭდი) ან ზეპირი (წარმოთქმული სიტყვა) ან სხვა ფორმით. ნაწარმოები გამოყოფილი უნდა იყოს ავტორისაგან და მიღებული ჰქონდეს დამოუკიდებელი სახე.

საავტორო უფლებების დაცვისა და შესრულებისათვის საჭირო არ არის ნაწარმოების რეგისტრაცია, გამოუქვეყნებელი ნაწარმოების სპეციალური გაფორმება ან სხვა რაიმე ფორმალობის დაცვა. რადგან ფაქტია უკვე იმის გარანტი, რომ ნაწარმოები შეიქმნა. საავტორო უფლებების სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ კანონი თანაბარი უფლებებით იცავს იმ ნაწარმოებებსაც, რომლებზედაც არ არის დასმული

სათანადო ნიშანი. სამეცნიერო ნაშრომები, დისერტაციები, ავტორეფერატები, წარმოადგენენ ავტორთა მეცნიერული შრომის შედეგს. ისინი დაცულია კანონით, როგორც სამეცნიერო ნაშრომები. მათი ავტორები ფლობენ პირად ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს.

პირად ქონებრივ უფლებად ითვლება ავტორის უფლება ნაწარმოების გამოყენებისა ყველა სახითა და ფორმით (გავრცელება, თარგმნა, კვლავწარმოება). პირადი არაქონებრივი უფლებაა ავტორის უფლება სახელზე, ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, მისი შეფასებისა და ავტორის რეპუტაციის დაცვის უფლებები.

ამგვარად, გამოუქვეყნებელი ნაწარმოების კვლავწარმოება ბიბლიოთეკების ელექტრონულ ქსელებში შესაძლებელია მხოლოდ ავტორის თანხმობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ირღვევა მისი უფლებები.

მკითხველთა ფართო წრეს გამოუქვეყნებელი ნაწარმოებების გაცნობის შესაძლებლობა ეძლევა კვლავწარმოების შედეგად. დადგენილია, რომ დისერტაციის დაცვამდე ერთი თვით ადრე მისი ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ორგანიზაციის ბიბლიოთეკას, სადაც ის ინახება ხელნაწერის უფლებით. ავტორეფერატები ეგზავნებათ აგრეთვე ერთი თვით ადრე სადისერტაციო საბჭოს წევრებსა და დაინტერესებულ ორგანიზაციებს. სადისერტაციო საბჭო ადგენს იმ ბიბლიოთეკების და ორგანიზაციების სიას, რომელთაც დამატებითი რეფერატები აუცილებლად უნდა გაეგზავნოთ. კანონის თანახმად გამოქვეყნებულად ითვლება ყველა ის ნაწარმოები ან დოკუმენტი, რომლის თუნდაც ერთი ეგზემპლარი გადაეცა ბიბლიოთეკას გასაცნობად.

კანონის თახმად გამოქვეყნებულად ითვლება აგრეთვე გამოუქვეყნებელი ნაწარმოების კვლავწარმოება ელექტრონული ფორმით, სკანირება ან მომხმარებლისათვის მისი წარდგენა ინტერნეტის ქსელის საშუალებით. ამისათვის კი აუცილებელია ამ ნაწარმოების ავტორის თანხმობა. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი უფლებები ირღვევა.

აუდიოვიზუალური ნაწარმოებების გამოყენება ბიბლიოთეკებში

დღეისათვის ბევრ ბიბლიოთეკაში არსებობს ფონდები, რომლებიც აუდიოვიზუალურ მასალას შეიცავენ. ესენია: გრამფირფიტები, ვიდეოფილმები, კომპაქტ-დისკები: CD-ROM, DVD. იმის გათვალისწინებით, რომ დიდი მოთხოვნილებაა ასეთ ფონდებზე, ბიბლიოთეკები ქმნიან მედიათეკებს, მულტიმედიურ კულტურულ ცენტრებს. ასეთ ცენტრებში მომხმარებლებს შეუძლიათ მოისმინონ მუსიკა, ნახონ კინოფილმი, შეასრულონ საჭირო ჩანაწერი კასეტაზე და სხვ.

აუდიოვიზუალური ნაწარმოებების ავტორები (თანაავტორები) არიან: დამდგმელი რეჟისორი, სცენარის ავტორი, დიალოგების ავტორი, ავტორები ტექსტიანი ან უტექსტო მუსიკალური ნაწარმოებებისა, რომელიც სპეციალურად ამ აუდიოვიზუალური ნაწარმოებისათვისაა შექმნილი. აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნისას დადებული ხელშეკრულება იწვევს ავტორთა მიერ ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებული უფლების გადაცემას მისი დამამზადებლისათვის, ნაწარმოების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის

ჰონორარის მიღების უფლების პირობით, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

აუდიოვიზუალური მასალა წარმოადგენს საავტორო უფლების ობიექტს, რადგან ის შექმნილია მუსიკის, ნაწარმოებთა ავტორების, შემსრულებლების და აგრეთვე ტექნიკური მუშაკების (მწარმოებლების) შემოქმედებითი შრომის შედეგად. ნაწარმოების ავტორთან ერთად თანაბრად ეკუთვნის საავტორო უფლება ნაწარმოების შემსრულებლებს: მსახიობებს, რეჟისორებს, დირიჟორებს, რომელთა მოღვაწეობასაც აქვს შემოქმედებითი ხასიათი. მათ აქვთ უფლება დაიცვან თავისი სახელი ნაწარმოების შესრულების, დადგმის, ყოველგვარი დამახინჯებისაგან, მოითხოვონ ნაწარმოების ყოველი შესრულებისას მათი სახელის ხსენება. ხოლო ნაწარმოებში ყოველგვარი ცვლილების ან დამატების შეტანა უნდა მოხდეს ავტორთან შეთანხმებით. (მუხლი 47)

ფონოგრამისა და ვიდეოგრამის დამამზადებლებს (საავტორო უფლებათა მომიჯნავე უფლებები, (მუხლი 48; 49) კანონით ეძლევათ განსაკუთრებული უფლებები გამოიყენონ თავიანთი ნაწარმი ნებისმიერი ფორმით, ჰონორარის მიღების უფლების ჩათვლით, აკრძალონ ან ნება დართონ მისი გავრცელების, რეპროდუცირებისა ან გაქირავებისა.

ბიბლიოთეკებში აუდიოვიზუალურ მასალა კანონით გათვალისწინებული შემთხვევების მიხედვით, ინფორმაციის თავისუფლად გავრცელების, მეცნიერებისა და განათლების განვითარების მიზნით, შეიძლება გამოყენებული იყოს შემსრულებლისა და ფონოგრამის მწარმოებელთან შეთანხმებისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე, მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც განსაზღვრულია დასახული მიზნით (მუხლი 52). ამასთანავე თავისუფალმა გამოყენებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს მას, არ უნდა შელახოს ნაწარმოების შემსრულებლისა და ფონოგრამის მწარმოებლის კანონიერი ინტერესები.

ბიბლიოთეკა, რომელიც წარმოადგენს კულტურულ და საგანმანათლებლო ორგანიზაციას, კანონიერად ითვლება ნაწარმოების ჩანაწერების მფლობელად და უფლება აქვს სასწავლო მიზნით გაამრავლოს ნაწარმოების ნაწყვეტები. კანონიერია აგრეთვე ბიბლიოთეკის მოქმედება ჩანაწერის აღდგენასა და შეცვლაზე. ამ მიზნით ბიბლიოთეკამ შეიძლება მოითხოვოს ფონოგრამის ეგზემპლარები სხვა ფონდებიდან.

აუდიოვიზუალური ნაწარმოებებისა და მისი ფონოგრამების გამოყენება რეგლამენტირდება ხელშეკრულებით, რომელიც იდება ბიბლიოთეკასა და მომხმარებელს შორის - ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან. ხელშეკრულებაში გარკვევით უნდა იქნეს მითითებული ჩანაწერის გამოყენების პირობები, ვადები, ადგილი და ჰონორარი.

ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მწარმოებელსა და საავტორო უფლების მქონე ორგანიზაციას შორის შეთანხმებით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს <u>ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი".</u>

საავტორო უფლებები კომპიუტერულ პროგრამებზე, მონაცემთა ბაზებზე და ინტერნეტის ქსელში

ბიბლიოთეკებში შექმნილი და აქტიურად გამოყენებადი კომპიუტერული პროგრამები, ელექტრონული გამოცემები და მონაცემთა ბაზები ასევე დაცულია

საავტორო უფლებების კანონით, რადგან ის წარმოადგენს ინტელექტუალური შრომის პროდუქტს და თანასწორია ლიტერატურულ ნაწარმოებებთან. კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის ურთიერთობის მოწესრიგება ხდება სახელმწიფო აღრიცხვის რეგისტრაციისა, სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის კანონების საფუძველზე.

კომპიუტერული პროგრამის ავტორი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებებით დართოს ნება ან აკრძალოს: კომპიუტერული პროგრამის რეპროდუცირება ნებისმიერი საშუალებით, მისი თარგმნა, ადაპტირება ან სხვა ცვლილებების შეტანა, საჯარო ჩვენება ან შესრულება. (მუხლი 19)

მონაცემთა ბაზა არის რომელიმე სფეროში, კონკრეტულ ობიექტებზე არსებული მონაცემების ერთობლიობა. მისი ამოცანაა შეინახოს და მომხმარებელს სრულად წარუდგინოს მისთვის საინტერესო მონაცემები. მონაცემთა ბაზის ობიექტები შეიძლება იყოს ცხრილები, შენახული პროცედურები, ტრიგერები, გასაღები და სხვ. მონაცემთა ბაზის დამამზადებელი სარგებლობს განსაკუთრებული უფლებით არ დაუშვას მის მფლობელობაში არსებული მონაცემთა ბაზიდან რაიმე ნაწილის ამოღება ან ხელახალი გამოყენება (მუხლი 54). ხელახალ გამოყენებაში აქ იგულისხმება მისი მთლიანი ან მნიშვნელოვანი ნაწილის ასლის გადაღება, გაქირავება ან გაყიდვა.

ელექტრონული საინფორმაციო სისტემების საშუალებების საავტორო უფლებები და საკუთრების უფლებები შეიძლება ეკუთვნოდეს სხვადასხვა პირებს. მაგალითად მონაცემთა ბაზის დამამზადებელმა შეიძლება ხელშეკრულებით გადასცეს უფლებები საინფორმაციო სისტემების მესაკუთრე-ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკა თავის მხრივ ვალდებულია კანონის შესაბამისად დაიცვას ავტორების უფლებები.

კანონის თანახმად კომპიუტერული პროგრამის და მონაცემთა ბაზის მართლზომიერ მფლობელს უფლება აქვს ავტორის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე შეიტანოს კომპიუტერულ პროგრამაში ან მონაცემთა ბაზაში ცვლილებები, რომელიც აუცილებელია მომხმარებლისათვის. (მუხლი 28) მაგრამ, მონაცემთა ბაზის დამამზადებელს უფლება არა აქვს აუკრძალოს მის კანონიერ მოსარგებლეს უკვე გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზის ნაწილების ამოღება ან გამოყენება ნებისმიერი მიზნით (მუხლი 55). კერძოდ: ამოიღოს პირადი სარგებლობისათვის არაელექტრონული მონაცემთა ბაზის შემცველობისა და სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მასალის საილუსტრაციოდ მონაცემთა ბაზის მნიშვნელოვანი ნაწილები, წყაროს მითითებით და დასახული არაკომერციული მიზნით განსაზღვრული მოცულობით. (მუხლი 56) აგრეთვე ამოიღოს და ხელახლა გამოიყენოს მონაცემთა ბაზის ის ნაწილები, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის და სასამართლო-საპროცესო მიზნებისათვის. (მუხლი 56)

ბიბლიოთეკებს პრაქტიკაში ხშირად უწევთ დამოუკიდებლად საავტორო უფლებების შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც წარმოიქმნება ელექტრონული ბიბლიოთეკების შექმნისა და ფუნქციონირების პროცესში. მაგ. საჯარო ბიბლიოთეკას აქვს ინტერნეტში თავისი საიტი, რომელიც აწვდის ყველა მსურველს ელექტრონულ ტექსტებს უფასოდ. ბიბლიოთეკა ავტორისაგან (ან უფლებამონაცვლე პირისაგან) ან გამომცემლობისაგან იღებს უფლებას ნაწარმოების ინტერნეტში შეტანაზე ავტორისათვის ყოველგვარი ჰონორარის გადახდის გარეშე. არის შემთხვევები, როდესაც ავტორები თვითონ არიან დაინტერესებულნი მათი

ნაწარმოები მოთავსებული იყოს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში., ყოველგვარი ჰონორარის მოთხოვნის გარეშე.

თანამედროვე საინფორმაციო საშუალებების განვითარების გამო ურთიერთობა ბიბლიოთეკებსა და სამართალდამცავთა შორის მნიშვნელოვნად განელდა, რადგან საავტორო ნაწარმოებების გავრცელებისა და ასლების გადაღების ტექნიკა გაიოლდა. გაფართოვდა ინფორმაციასთან არასანქცირებული დაშვების შესაძლებლობა. გაიზარდა საავტორო უფლებების დარღვევის შესაძლებლობის მასშტაბები. ეს პრობლემა ფართოდ განიხილება როგორც ცალკეულ ქვეყნებში, ასევე საერთაშორისო დონეზე, კონფერენციებზე და თათბირებზე.

1996 წელს პეკინში, 62-ე კონფერენციაზე, IFLA-მ შეიმუშავა და მიიღო დოკუმენტი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტრონული ბიბლიოთეკების ფუნქციონირებისათვის. დოკუმენტში გამოხატულია ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური პოზიცია, მთელი მსოფლიოს საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მუშაკების სახელით. კერძოდ, დადგინდა, რომ ბიბლიოთეკებს ეკუთვნით მთავარი როლი ელექტრონულ ინფორმაციასთან დაშვების უზრუნველყოფისა, ელექტრონული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს უფასოდ და დაუბრკოლებლად პირადი ან კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებით.

დღეისათვის ინტერნეტი ფართოდ გამოიყენება ბიზნესში, მეცნიერებაში, კულტურაში, განათლებაში და სხვ. მილიონობით ადამიანს უკვე ვერ წარმოუდგენია ცხოვრება ინტერნეტის გარეშე. ფსიქოლოგებმა ინტერნეტი ნარკოტიკს შეადარეს. კავშირის ამ სახეს აქვს მთელი რიგი უპირატესობანი და დიდ გავლენას ახდენს გლობალურ საინფორმაციო პოლიტიკაზე. ინტერნეტის ყველაზე მიმზიდველი მომენტია ის, რომ წარმოადგენს ინფორმაციის გაცვლის თავისუფალ არეს, თავისი სპეციფიკური აუდიტორიითა და ეთიკით. ურთიერთობის საშუალების გარდა ინტერნეტი წარმოადგენს ცოდნის გლობალურ განძს, რასაც ,,ელექტრონულ რესურსებს" უწოდებენ. სწორედ ქსელში დაგროვილი საინფორმაციო მასალები იწვევენ მისდამი დიდ ინტერესს. ცნობილია, რომ საჭირო ინფორმაციის მოპოვება არის გასაღები სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობის წარმატებისა. ინტერნეტში საინფორმაციო წყაროების ზრდა უფრო და უფრო მიმზიდველს ხდის მას მომხმარებლის სხვადასხვა ჯგუფებისათვის. ის კონკურენციას უწევს საჯარო ბიბლიოთეკებს. სტუდენტები უფრო ხშირად მიმართავენ ელექტრონული ინფორმაციის რესურსებს, რადგან არ არის საჭირო საათობით იჯდეს ბიბლიოთეკაში. იმისათვის, რომ კონკურენციაში გაიმარჯვო, ყველაზე კარგი პირობაა უზრუნველყო სწრაფი და კარგი მომსახურება.

პირველად ბიბლიოთეკებმა საავტორო უფლებების პრობლემის საკითხის შესწავლა დაიწყეს, როდესაც გაჩნდა ელექტრონული დოკუმენტები და ბიბლიოთეკებმა მიიღეს კომპიუტერები. ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების მუშაობა ამ მხრივ დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ადამიანებს არ ჰქონდათ სპეციალური განათლება და ინტერნეტში მუშაობის გამოცდილება. ინტერნეტში ელექტრონული დოკუმენტების მოძებნა, მასზე მუშაობა, ამობეჭდვა და სხვ. დაცულია საავტორო უფლებებით, ისევე როგორც სხვა დოკუმენტები. თუ დოკუმენტი მოთავსებულია დისკეტაზე ან CD-ROM –ზე შესაძლებელია, რომ ის სახლში გაიცეს, როგორც წიგნი ან ჟურნალი. მაგრამ ინტერნეტში მუშაობის დროს დოკუმენტების მონახვისა და შემდგომ მისი ასლის გადაღების კონტროლირება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამის ტექნიკური საშუალებები არ არსებობს.

ელექტრონულ დოკუმენტებს ამ მხრივ აქვს უფრო ფართო არასანქცირებული მოქმედებების შესაძლებლობები.

ინტერნეტი სამართლებრივად დარეგულირებულია, მაგრამ არ არის საკმარისი. თვითონ ბიბლიოთეკებმა უნდა აგონ პასუხი ელექტრონული დოკუმენტების არასანქცირებულ ,,რეპროდუცირებაზე". ამისათვის ბიბლიოთეკები სხვადასხვა დამცავ ზომებს იღებენ. მაგ. ინგლისში ელექტრონული ასლების დაცვის პრობლემა წყდება შემდეგნაირად: მკითხველი ხელს აწერს (პირადად) ტიპიურ შეთანხმებას ბიბლიოთეკიდან მიღებული ელექტრონული ასლის გამოყენების წესებზე, რაც ანთავისუფლებს ბიბლიოთეკას შემდგომი პასუხისმგებლობისაგან და მისი არაკორექტურული გამოყენებისაგან.

საქართველოში იმ ბიბლიოთეკების რიცხვი, რომლებიც მომხმარებლებს სთავაზობენ ელექტრონულ მომსახურებას, ძალიან მცირეა. ბიბლიოთეკები დაკავებულნი არიან ამ სფეროში შიდა პოლიტიკის საკითხების გარკვევით. ერთიანი წესები ან დოკუმენტი, რომლითაც შეიძლება იხელმძღვანელონ ბიბლიოთეკებმა არ არსებობს. ასეთი დოკუმენტის მიღება ყველა ტიპისა და მოცულობის ბიბლიოთეკისათვის აუცილებელია.

ინტერნეტის ქსელის განვითარება ახლო მომავალში გადააქცევს მას სოციალურ კომუნიკაციურ სტანდარტულ არხად, რომლის საშუალებითაც შესრულდება სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციები. ინტერნეტში კომერციული და არაკომერციული ინფორმაციები და პროგრამები ააქტიურებს კომპიუტერული ,,ხაკერების" მოქმედებას. ხშირად იჩენს თავს ფინანსური თაღლითობა, ყალბი საკრედიტო ბარათები, ინფორმაციის არასანქცირებული ასლის გადაღება და ა.შ. იმის გამო, რომ არ არსებობს ინტერნეტის მიმართ სამართლებრივი დარეგულირების კანონი, არ არის კონკრეტული ,,პატრონი", იწვევს ქსელში ისეთი ინფორმაციის გაშვებას, რომელიც ეწინააღმდეგება მორალით მიღებულ ნორმებს.

ბევრ ქვეყანაში ასეთი მოქმედება იწვევს გაღიზიანებას ინტერნეტის აკრძალვამდე. ცნობილია ფაქტები, როდესაც ინტერნეტის მომხმარებლის კორესპონდენცია ექცევა ,,პერლუსტრაციის" (ლათ. დათვალიერება) ქვეშ და აგრეთვე ხდება სერვერის შეწყვეტა, როდესაც რომელიმე ქვეყანა არ იწონებს გამოქვეყნებულ ინფორმაციას (პორნოგრაფია, პოლიტიკური ექსტრემისტები, სექსუალური უმცირესობები). ასეთი გადაწყვეტილება – ერთერთი ვარიანტია ტრადიციული ამკრძალავი რეაქციისა. ის ითვალისწინებს დანაშაულის პრობლემის თავიდან აცილებას, იღებს მკაცრ ზომებს, ახდენს ქსელში შესვლის რეგისტრაციას, ართულებს ასლის გადაღების პირობებს, რაც ლოგიკურად მიდის მომხმარებელთა დემოკრატიული თავისუფლების შეზღუდვასა და უთანასწორობისაკენ. ზოგიერთი ქვეყნები უფრო ცივილიზებულ გადაწვეტილებებს ეძებენ. სახელმწიფოში ყოველი ურთიერთობა რეგულირდება კანონებით.

ინტერნეტის ქსელში მოღვაწეობის მიხედვით გამოიყოფა უფლების სუბიექტთა ოთხი კატეგორია. ამ სუბიექტებს აქვთ თავიანთი ინტერესები და მათ შორის ნაწილდება უფლება, მოვალეობა და პასუხისმგებლობა.

ეს კატეგორიებია:

1. **საინფორმაციო და პროგორამული რესურსების შემქმნელები** - ამ ჯგუფისათვის ძირითადი საკითხია იურიდიული პირებისა და უფლების სუბიექტების ურთიერთობის დარეგულირება – შექმნილ პროდუქციაზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.

შიდა კომერციულ ბაზარზე მწარმოებლის ინტერესების დასაცავად გამოიყენება საავტორო უფლებების კანონი. ინტერნეტში ნაციონალური კანონების დახვეწის საერთო მიღებული გზაა – საავტორო უფლებების გავრცელება ინფორმაციის ელექტრონულ სახეებზე. სიძნელეები წარმოიქმნება იქ, სადაც საავტორო უფლების სუბიექტს წარმოადგენს არაკომერციული ორგანიზაციები, ფიზიკური პირები (ცალკეული შემსრულებლები) და მაშინაც, როდესაც ინფორმაციული პროდუქტი, მისი საკუთრების ფორმის მიუხედავად, ვრცელდება საერთო ინფორმაციულ სივრცეში. ამ შემთხვევაში შეინიშნება წინააღმდეგობა საავტორო უფლების მფლობელსა და ბოლო მომხმარებელს შორის, უფლების მფლობელსა და სახელმწიფოს შორის. ერთის მხრივ დაცული უნდა იყოს მწარმოებლის უფლებები, როგორც ელემენტარული ქურდობისაგან (რესურსების ,,პირატული" ქურდობა), ისე სახელმწიფოს მიერ მონოპოლიური მითვისება (მაგ. მთელი ინფორმაციული რესურსების მონოპოლიურ განკარგულებაში მოქცევა ან მათი იძულებითი სახელმწიფო რეგისტრაცია). მეორეს მხრივ, საავტორო უფლებებისადმი ზიანის მიყენების გარეშე პატივი უნდა ეცეს მომხმარებლის უფლებებს ელექტრონულ რესურსებზე ხელმისაწვდომობის მხრივ. ეს უფლებები სახელმწიფოს მიერ გარანტირებული და უზრუნველყოფილი უნდა იყოს.

კერძოდ, ელექტრონული დოკუმენტების საარქივო ასლების მიღების, გამოყენებისა და დაცვის განსაკუთრებული უფლების სტატუსის მინიჭება საჯარო ბიბლიოთეკებისათვის. რადგან სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელნი უზრუნველყონ მოქალაქეთა თავისუფალი დაშვება საინფორმაციო რესურსებთან.

2. **ტელეკომუნიკაციების მომსახურების სერვის-პროვაიდერები** – ესენი არიან იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას უკეთებენ ქსელურ ურთიერთმოქმედებას, კომპიუტერის მუშაობას და მასში ინფორმაციის გადაცემას შორის. პროვაიდერი შეიძლება იყოს კომერციული და არაკომერციული, შეიძლება წარმოადგინოს მომსახურების მთელი სპექტრი ან მხოლოდ ნაწილი. ისინი უნდა ფლობდნენ სხვადასხვა იურიდიულ სტატუსს და არიან უფლების სხვადასხვა სუბიექტები. დიდ განვითარებულ ქვეყნებში კომერციულ ქსელებს აქვთ დაფინანსების სხვადასხვა წყაროები და ხელმძღვანელობენ სხვადასხვა კანონებით, ემორჩილებიან ექსპლუატაციის სხვადასხვა წესებს. იმ ქვეყნებში კი სადაც არაკომერციული ქსელები სახელმწიფოს მიერ არ ფინანსდება, კავშირის მომსახურებები კი ძალიან ძვირია, საჯარო ბიბლიოთეკების მომხმარებელთა (მეცნიერების, პედაგოგების, სტუდენტების და ა.შ.) ინფორმაციასთან დაშვების უზრუნველსაყოფად საჭიროა მიღებული იქნეს შესაბამისი კანონები, რომელებიც დაიცავენ ინტერნეტის ,,ნონპროფიტულ" ქსელებს, გაითვალისწინებენ შეღავათებს სახელმწიფო დაწესებულებებისათვის ტელეკომუნიკაციური მოწყობილობის დადგმისათვის. სერვის-პროვაიდერებმა კი უნდა უზრუნველყონ საიმედო კავშირი და პასუხი აგონ მათ მიერ წარმოდგენილი მომსახურების ხარისხზე.

3. **საინფორმაციო მომსახურების პროვაიდერი** – ესენი არიან ორგანიზაციები და იურიდიული პირები, რომლებიც ინფორმაციას მოიპოვებენ, აფორმებენ და ინტერნეტის არხებით წარუდგენენ მომხმარებლებს. ასეთი ორგანიზაციების სტატუსი შეიძლება იყოს კომერციული და არაკომერციული. ყველაზე მთავარი იურიდიული პრობლემა ამ კატეგორიისა არის – გავრცელებული ინფორმაციის შინაარსზე პასუხისმგებლობა. ზოგიერთ ქვეყანაში საინფორმაციო მომსახურების პროვაიდერებზე ვრცელდება კანონი ,,მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე", ვინაიდან მათ მიერ წარმოებული პროდუქცია სხვა არაფერია თუ არა ელექტრონული

გამოცემა. თუ ეს ასეა, მაშინ ყოველი საინფორმაციო საიტი გამომცემლობის მსგავსად უნდა იქნეს რეგისტრირებული და ამ ქვეყნის კანონის შესაბამისად პასუხი აგოს წარდგენილ ინფორმაციაზე.

ეს საკითხი შეიძლება გადაწყდეს ინფორმაციასთან დაშვების აკრძალვის ზომების მიღებით ან მომხმარებლებთან შეთანხმებით ინფორმაციის შინაარსის ,,ფილტრაციით", ინფორმაციისათვის გზის გადაკეტვით: ,,არა ფართო მომხმარებლისათვის". მაგ. სკოლების კომპიუტერებზე იმ საიტების ბლოკირება, სადაც მოთავსებულია პორნოგრაფია. მისაღებია აგრეთვე ინფორმაციის მომწოდებელთან ხელშეკრულების გაფორმება, იმაზე, რომ მათი ინფორმაცია გავრცელებისათვის არ არის აკრძალული.

4. **ინფორმაციის მომხმარებლები** – მომხმარებლები, როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირები უნდა ფლობდნენ უფლებებსა და მოვალეობებს. სახელმწიფოს კანონებით ყოველი პიროვნება გარანტირებულია გარკვეული უფლებებითა და თავისუფლებებით. კერძოდ, პირადი აზრის გამოთქმისა და მიწერმოწერის (ინტერნეტით), ინფორმაციის მიღებისა და ცოდნის შეძენის უფლებებით. ყველა ეს უფლებები უნდა ვრცელდებოდეს ინფორმაციის ელექტრონულ საშუალებებზეც.

ტელეკომუნიკაციების გამოყენებისას დგება კონფიდენციალობის პრობლემა. ქსელში მიწერმოწერა უნდა განიხილებოდეს, როგორც პირადი და აიკრძალოს ,,პერლუსტრაცია". სახელმწიფომ ყურადღება უნდა მიაქციოს მოქალაქეთა თავისუფალ დაშვებას ინტერნეტის არაკომერციულ ნაწილთან. ასეთი დაშვება რეალიზებას უკეთებს პიროვნების დემოკრატიულ უფლებას.

ქსელში მომხმარებელთა ქცევის წესები კანონით არ არის რეგლამენტირებული, მაგრამ თავისუფალი დაშვების მრავალ პუნქტებში, გარკვეული რესურსებისა და რეჟიმების გამოყენებისას, შემოღებულია დროის შეზღუდვები (მაგ. კომპიუტერულ თამაშებზე).

მთელ რიგ ქვეყნებში არსებობს ინტერნეტის გამოყენების სხვადასხვა კანონები, რომლებზედაც ტელეკომუნიკაციური გაცვლის მონაწილეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება დაყრდნობა. მაგ. რუსეთში: ,,О праве на информацию , ,,О средствах массвой информаций , ,,О коммерческой тайне , ,,О рекламе , ,,об авторском праве , ,,О предпринимательской деятельности , ,,компьютерные преступления , ,,О связи , ,,О международном обмене და სხვა. ეს აქტები ხშირად ითხოვენ დაზუსტებას და ცვლილებების შეტანას. ინტერნეტთან დაკავშირებით არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც გამოდის ნაციონალური კანონმდებლობის ჩარჩოებიდან და სამართლებრივი ურთიერთობებიდან. კანონმდებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ფუნქციებთან და დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური. ინტერნეტის პრობლემების გადაჭრისას საქმე გვაქვს სწორედ ასეთ ფაქტორებთან.

<u>**იდეოლოგიური ფაქტორი**</u> – ამ პრობლემას ეხება ინფორაციის მოპოვებაზე ყოველგვარი შეზღუდვები. ეს დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, სადაც საზოგადოება ინფორმაციულ ვაკუუმშია მოქცეული. სახელმწიფო სამსახურების მიერ ხდება ქსელში ინფორმაციის ცენზურა, ინფორმაციის ნაწილი დახურულია და მასთან დაშვება მკაცრად არის შეზღუდული. იდეოლოგიური ცენზურა არ უნდა აგვერიოს ,,შეგნებული შეზღუდვის" ზომებთან ქსელში პორნოგრაფიის, რასიზმისა და ძალადობისაკენ მოწოდებაში, რომელსაც სახელმწიფო ახორციელებს მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად. ამ სფეროში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა უნდა

უზრუნველყონ კანონით გარანტირებული გონიერი ბალანსი სიტყვის თავისუფლების პრინციპსა და საზოგადოებისათვის ,,საზიანო" ინფორმაციის გავრცელებასა და პროპაგანდის შეზღუდვას შორის.

<u>ეკონომიკური ფაქტორი</u> – მთელ რიგ ქვეყნებში მიმდინარეობს კონკურენცია საინფორმაციო რესურსებსა და ტექნოლიგიებზე. მაგ. კომერციულ ქსელებში კლიენტებზე, ნაციონალურ სერვის-პროვაიდერებსა და ტელეკომუნიკაციურ ფირმებს შორის საზღვარგარეთის ინვესტიციებზე. წარმოიშვება პრობლემა ,,ინტერნეტი", როგორც ,,ნაციონალური ინტერესების დამცველი", რაც იწვევს უცხოური ქსელური და კომპიუტერული მოწყობილობების დადგმის აკძალვას, ორგანიზაციებში ,,შპიონაჟის", იდეოლოგიური დივერსიის, საზიანო ვირუსების გავრცელების და ა. შ. შიშის გამო. სინამდვილეში ინტერესი ერთშია – არ იქნეს დაშვებული ნაციონალურ ბაზარზე კონკურენტი.

<u>ორგანიზაციული ფაქტორი</u> – ინტერნეტთან მუშაობის დროს წარმოიშვება მთელი რიგი ტექნიკური და ორგანიზაციული პრობლემები. ეს უფრო ეხება ინფორმაციის უსაფრთხოების მრავალგვარ საკითხებს. ინფორმაციის უსაფრთხოებაში იგულისხმება: კონფიდენციალობა, ინფორმაციული მთლიანობა და სანქცირებული დაშვების ზომების უზრუნველყოფა. ეს სამი კომპონენტია, რომელზედაც ხდება კომპიუტერული ,,პირატების" თავდასხმა. ინფორმაციის უსაფრთხოებისათვის მიღებული უნდა იქნეს დამცავი ზომები:

- კოდირების მეთოდები – ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად;
- შეზღუდვის მეთოდები – გარეშე ქსელებიდან სისტემაში არასანქცირებული შეღწევისათვის;
- დაცვის მეთოდები – ლოკალურ ქსელებში მონაცემებთან არასანქცირებული შეღწევისათვის.

ყველა ეს ზომები აუცილებელია ყველა სახის ინფორმაციისათვის, მისი საკუთრების ფორმის მიუხედავად, რადგან უზრუნველყოფენ დაცვის ფუნქციებს. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტში ინფორმაციის დაცვის საქმეში უფრო მოქმედია ფიზიკური და ორგანიზაციული ზომები, ვიდრე იურიდიული. ლოგიკა იოლია, თუ ინფორმაცია დახურული უნდა იყოს, ის არ უნდა მოთავსდეს ცუდად დაცულ ადგილას. ლოკალური ქსელების დაცვის ადგილი ხორციელდება მთელი რიგი ტექნიკური საშუალებებით, რომელიც სანქცირებულია დაწესებულების ან ფირმის ადმინისტრაციის მიერ. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ინფორმაციის 95% იკარგება, იშლება ან ფუჭდება ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ და მხოლოდ 5% გარეშე ქსელებით.

<u>ეთიკური ფაქტორი</u> – ინტერნეტის ქსელის ფართო პოპულარობის გამო აუცილებლად წარმოიშვება ეთიკის პრობლემა. ეს არ არის კანონმდებლობის საკითხი. კანონები იქმნება ცალკეული სახელმწიფოების მიერ. ინტერნეტის მომხმარებლები მრავალი სახელმწიფოს მოქალაქენი არიან. კანონები გულისხმობენ პასუხისმგებლობის ზომებს. ინტერნეტის მომხმარებლებისათვის არ არსებობს საერთო დამსჯელი ორგანო. ეს ნიშნავს, რომ საჭიროა არა კანონი, არამედ კოდექსი. ინტერნეტის ქსელში, რომელიც თვითონ წარმოიშვა, როგორც მომხმარებელთა თავისუფალი გაერთიანება, ასეთი კოდექსი არსებობს. ის მარტივი და მკაცრია, როგორც ათი მცნება: ,,მოექეცი პარტნიორს ქსელში ისე, როგორც შენ გინდა რომ მოგექცენ". კოდექსის დარღვევის შემთხვევაში ქსელურ გაერთიანებას შეუძლია

აირჩიოს დამსჯელი ზომა – მომხმარებელთა ჯგუფიდან გარიცხვა და ზოგჯერ საკმაოდ მკაცრი ზომა – დამნაშავე მომხმარებლის კომპიუტერის ბლოკირება.

ბიბლიოთეკების კომერციული საქმიანობა და საავტორო უფლებების პრობლემები

ბიბლიოთეკების მთავარი რესურსებია: წიგნები, უნიკალური ხელნაწერები, ნოტები, რუქები და ა.შ. მთელი თავისი არსებობის მანძილზე ბიბლიოთეკებმა დააგროვეს მსოფლიოს მრავალი ხალხის კულტურის განძი. ყველაზე ტრადიციული და პირველი ფასიანი მომსახურება ბიბლიოთეკაში არის მკითხველის მოთხოვნით დოკუმენტების ასლის გადაღება. ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" კანონის მიხედვით ბიბლიოთეკას შეუძლია განახორციელს სამეურნეო საქმიანობა ბიბლიოთეკის მომხმარებლებისათვის შეთავაზებული მომსახურებების გაფართოებით იმ პირობით, რომ ის ხელს არ შეუშლის ბიბლიოთეკის ძირითად საქმიანობას. **თუ ბიბლიოთეკას განზრახული აქვს თავისი ფონდიდან საავტორო უფლებების კანონით დაცული საავტორო ნაწარმოები გამოიყენოს კომერციული მიზნით, ის ვალდებულია წერილობითი ფორმით დადოს ხელშეკრულება ავტორთან. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი ეგზემპლარის ნებისმიერი გამოყენებისათვის დგინდება საავტორო ხელშეკრულებით, აგრეთვე მოსარგებლეებსა და ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შორის ხელშეკრულებით (მუხლი 18.7).** ამ დებულების დარღვევა იწვევს მატერიალურ პასუხისმგებლობას.

ყოველ ავტორს უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ თვითონ განსაზღვროს თავისი ნაწარმოების გამოყენების საზღვრები და ფორმები. ამას ეწოდება მორალური უფლება და ის ყოველთვის ავტორთანაა. მაგრამ, ავტორს ესაჭიროება აგრეთვე გაწეული შრომისათვის ანაზღაურება. აქ უკვე თავს იჩენს ფინანსური ასპექტი. მასთან ერთად კი პირი ან ორგანიზაცია, რომელიც დაკავებულია ნაწარმოების გამოცემითა და გასაღებით. თუ ამ ნაწარმოებს მოგება მოაქვს, ავტორი და მწარმოებელი ეკონომიურ შემოსავალს ერთმანეთს უთანხმებენ.

თუ საავტორო უფლებების კანონი იქნება განსაკუთრებული და ყოველგვარი შეღავათების გარეშე, წარმოიშვება საოცარი სიტუაციები: შეუძლებელი იქნება ბიბლიოთეკებში და სასწავლო დაწესებულებებში სტატიებისა და დოკუმენტების ასლების გადაღება ავტორებთან შეუთანხმებლად. ამიტომ საავტორო უფლების კანონს ყოველთვის აქვს გამონაკლისი შემდეგ საფუძვლებზე: საგანმანათლებლო, კულტურული და სოციალური (მაგ. ინვალიდებისათვის და სხვ.).

ყველაზე გავრცელებული ფასიანი მომსახურება ბიბლიოთეკებში არის მკითხველთა მოთხოვნით დოკუმენტების ასლების გადაღება. აქ უნდა აღინიშნოს, რომ მომსახურების ფასი თუ განისაზღვრება მხოლოდ ქსეროქსის ხარჯებით, ასეთი მომსახურება არ არის კომერციული. ხშირად ბიბლიოთეკის თანამშრომლები ერიდებიან გამოცემების ასლების გადაღებას, რადგან მექანიკური და სითბოს ზემოქმედება ზიანს აყენებს მას. ამიტომ ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ. რუსეთში – 1960 წლამდე გამოცემების) კოლექტიური, იშვიათი და ხელნაწერთა უკეთ დაცვის მიზნით შემოღებული იქნა დამატებითი გადასახადი ასლების გადაღებაზე.

1980 წლიდან ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში სახელმწიფო კონტროლის შესუსტებამ გამოიწვია ბიბლიოთეკების ფონდების კომერციული

სარგებლობისათვის გამოყენების მსურველთა ზრდა. ისინი თვლიდნენ, რომ შესაძლებელია თავისუფლად ყველა მასალის ასლის გადაღება. ყოველი შეზღუდვა ითვლებოდა ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დარღვევად, რაც არა სწორი გაგებაა. შეზღუდვა ეხებოდა არა ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, არამედ მხოლოდ მის ხელმეორედ წარმოებას. ამიტომაა, რომ დღეს ბიბლიოთეკები იღწვიან ავტორებთან და გამომცემლებთან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობისაკენ.

ბიბლიოთეკების ფონდებიდან მასალების ან უნიკალური ხელნაწერების (რომლებზედაც საავტორო უფლება არ ვრცელდება) გამოქვეყნება ხდება პარტნიორ-გამომცემლის მიერ კოოპერაციით. ე.ი. ფაქტიურად გადაეცემა კვლავწარმოებისა და გავრცელების უფლება. ეს უფლება ეძლევა მას ექსკლუზიურად. ბიბლიოთეკას შეუძლია შეთანხმების საფუძველზე მიიღოს ტირაჟის ნაწილი შესანახად, ნაწილი მკითხველთა მომსახურებისათვის და თანხა კვლავწარმოების უფლების გაცემისათვის.

დღეს არსებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში საბიუჯეტო დაფინანსების გარეშე დარჩენილი ბიბლიოთეკები იძულებულნი არიან ეძებონ ის კომერციული სახეები, რომლებიც დაეხმარება მათ ამ კრიზისად გამოსვლაში. რუსეთის ნაციონალური ბიბლიოთეკა აწარმოებს გამოუყენებელი და მოძველებული ლიტერატურის გაყიდვას. ასეთი პრაქტიკა ახალი არ არის ბიბლიოთეკებისათვის. გაცვლითი ფონდები უფრო მეტად შედგება შემოწირული და სასაჩუქრო გამოცემებისაგან. იმ გამოცემების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება გაიყიდოს დიდი არ არის. ამიტომ სერიოზული დამატებითი შემოსავლის წყაროდ ის ვერ ჩაითვლება.

ბიბლიოთეკებს შეუძლიათ წარადგინონ გასაყიდად თავისი მოღვაწეობის ისეთი ინტელექტუალური პროდუქტი, რომლებიც შექმნილია ბიბლიოთეკის ფონდის საფუძველზე. ასეთია გარკვეული საფასურის გადახდით, ბიბლიოთეკის კედლებს გარეთ, წიგნის ილუსტრიტებული გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო – ბიბლიოგრაფიული მომსახურება ხელშეკრულების საფუძველზე. მკითხველებისა და ბიბლიოთეკების მოთხოვნები სრულდება უფასოდ, ელექტრონულ ქსელში მასალების შრომატევადი ძებნის გარდა.

თუ ბიბლიოთეკაში არსებობს საკუთარი გამომცემლობა, რომელიც გამოსცემს შრომებს ბიბლიოთეკათმცოდნეობაში, ბიბლიოგრაფიასა და წიგნმცოდნეობაში, მისი რეალიზაციის შემდეგ იღებს არასაბიუჯეტო დანამატს. 1990 წლამდე ბიბლიოთეკის ასეთი სახის გამოცემები ვრცელდებოდა უფასოდ. დღეისათვის პრობლემა მდგომარეობს მისი ფასის დადგენაში, რადგან გამოცემა სპეციფიკურია, მასზე მოთხოვნა შეზღუდულია და გამოდის მცირე ტირაჟით. ასეთი გამოცემებიდან მოგების მიღების საკითხი პრობლემატურია. უფრო ხშირად მისი ფასი ფარავს მხოლოდ მისი ბეჭდის ხარჯებს.

ყველა დროში ბიბლიოთეკების საზოგადოებრივი დანიშნულება იყო ბიბლიოთეკების ფონდში დაგროვილი წყაროების დაცვა, შენახვა და მისი გადაცემა მომხმარებლებისათვის. ფონდების დაკომპლექტებისას პრობლემები წარმოიშვება საავტორო უფლებების კანონთან დაკავშირებით სარეზერვო ასლების დამზადებისას. ფონდის შევსება რეპროდუცირებული დოკუმენტებით არ შედის დაშვებულ ნორმებში და ითვლება კანონის დარღვევად. ამასთანავე კანონი ,,ინფორმაციის დაცვის შესახებ” უფლებას იძლევა განხორციელდეს ასეთი ქმედებები. ბიბლიოთეკებს, როგორც საინფორმაციო რესურსების მფლობელებს, უფლება აქვთ ნაწილობრივ დოკუმენტების ასლის გადაღების და გავრცელებისა.

დოკუმენტების სამართლებრივი დაცვა ბიბლიოთეკებში

თანამედროვე ბიბლიოთეკა უკვე აღარ არის ის ადგილი, სადაც მიხვალ და მხოლოდ საჭირო წიგნს, ჟურნალს ან გაზეთს აიღებ. დღეს ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ცენტრია, სადაც ყველას შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია ყველა წყაროდან და ყველა ფორმით. ახალი ტექნოლოგიებისა და ავტომატიზაციის საშუალებების დანერგვამ ბიბლიოთეკები განვითარების გზაზე დააყენა. მაგრამ, გაჩნდა არატრადიციული ფორმის დოკუმენტების (ელექტრონული დოკუმენტები) ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პრობლემა. ელექტრონული დოკუმენტების შემქმნელებს არ უნდათ, რომ მათი ნაშრომი გახდეს სხვა პირის მოგების წყარო ან ,,პლაგიატიის" ობიექტი. ამ მიზნით ყველა ქვეყანაში არსებობს საავტორო უფლებების კანონი, რომელიც უნდა იცოდნენ არა მარტო ავტორებმა და გამომცემლებმა, არამედ დოკუმენტების ყველა საცავებმა.

საავტორო უფლებები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია თანამედროვე ბიბლიოთეკის მუშაობაში. ბიბლიოთეკები დაკავშირებულნი არიან საავტორო უფლებების კანონთან. კანონი დოკუმენტების გამოყენების შესახებ უნდა იცოდნენ ბიბლიოთეკარებმაც.

კანონი ,,საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" განსაზღვრავს ბიბლიოთეკის ფონდებთან დაშვების წესს, ძირითად პირობებსა და მომსახურებების სიას. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მოქალაქეთა უფლებას საბიბლიოთეკო მომსახურებაზე, აბონენტის, მკითხველთა დარბაზების და ფონდის დროებითი გამოყენების საშუალებით. ბიბლიოთეკებმა და მათმა მკითხველებმა უნდა იცოდნენ თავიანთი უფლებები საავტორო ნაწარმოების მიღებისა და გამოყენების, განსაკუთრებით კი მისი ასლის გადაღებისა და რეპროდუქციის შესრულების შემთხვევაში. ბიბლიოთეკები ვალდებულნი არიან დაიცვან საავტორო უფლებები საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთანავე, ხელი არ უნდა შეუშალოს დოკუმენტების გამოყენებასა და ფონდებთან დაშვებას.

ბიბლიოთეკის მომხმარებლებს უფლება აქვთ:

- უფასოდ მიიღონ ინფორმაცია ბიბლიოთეკის ფონდში არსებული კონკრეტული დოკუმენტის შესახებ;
- უფასოდ მიიღოს სრული ინფორმაცია ბიბლიოთეკის ფონდის შემადგენლობის შესახებ კატალოგების სისტემისა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით;
- უფასოდ გაეცნოს ფონდის ყველანაირი დოკუმენტის ტექსტს;
- უფასოდ მიიღოს კონსულტაციური დახმარება ინორმაციის წყაროს მოძებნისა და არჩევის დროს;
- გამოხატოს თავისი აზრი ბიბლიოთეკის და მისი ცალკეული მუშაკების მუშაობაზე, წამოაყენოს წინადადებები ბიბლიოთეკის მუშაობის გასაუმჯობესებლად;
- იჩივლოს სასამართლოში ბიბლიოთეკის თანამდებობის პირების მოქმედებაზე, თუ ისინი მათ უფლებებს არღვევენ.

საქართველოს კანონი ,,საავტორო უფლებებისა და მომიჯნავე უფლებების შესახებ" ითვალისწინებს ნაწარმოებების თავისუფლად გამოყენების შემთხვევებს, რომელთა ნაწილი აქტიურად გამოიყენება ბიბლიოთეკებში.

ბიბლიოთეკებში დაშვებულია მართლზომიერად გამოქვეყნებული ნაწარმოებების რეპროდუცირება ფიზიკურ პირთა მიერ მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის ავტორის ან საავტორო უფლების სხვა მფლობელის თანხმობისა და მისთვის ჰონორარის გადახდის გარეშე. (მუხლი 21) მაგრამ აქვე აღინიშნება, რომ ეს არ ეხება არქიტექტურული ნაწარმოებების, ელექტრონული მონაცემთა ბაზების, კომპიუტერულ პროგრამების, აუდიოვიზუალური და ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოებების, წიგნების (მთლიანად), ნოტებისა და სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების რეპროდუცირებას. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს უფლება აქვს მიიღოს შესაბამისი ჰონორარი. ჰონორარი გადაიხდება პირადი სარგებლობისათვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელ მოწყობილობათა (აუდიო- და ვიდეომაგნიტოფონები) და მატერიალურ მატარებელთა (ვიდეოფირები, კასეტები და სხვ.) მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ. ჰონორარის შეგროვება და მისი განაწილება ხდება იმ ორგანიზაციების მიერ, რომელნიც მართავენ ავტორთა, შემსრულებელთა და ფონოგრამის დამამზადებელთა ქონებრივ უფლებებს. თუ შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ჰონორარი ამ ორგანიზაციებს შორის ნაწილდება შემდეგნაირად: 40%- ავტორებს, 30%- შემსრულებლებს, 30%- ფონოგრამების დამამზადებლებს. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეებს შორის შეთანხმებით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს ,,საქპატენტი".

ნაწარმოებების რეპროგრაფიული გამრავლება ბიბლიოთეკებში დაიშვება მხოლოდ პირდაპირი და არაპირდაპირი მოგების მიუღებლად, საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე ერთეულ ეგზემპლარად, ნაწარმოების განადგურებულ, დაკარგულ ან სარგებლობისათვის გამოუსადეგარ ეგზემპლართა შესაცვლელად ან სხვა ბიბლიოთეკებისათვის ამავე მიზეზების გამო გადასაცემად. (მუხლი 22) ბიბლიოთეკებს ეძლევათ უფლება რეპროდუცირებისა ცალკეული სტატიებისა და მცირე მოცულობის ნაწარმოებებისა (კომპიუტერული პროგრამების გარდა) გამოქვეყნებული კრებულებში, გაზეთებში და სხვა პერიოდულ გამოცემებში ფიზიკური პირების მოთხოვნით, სასწავლო, სამეცნიერო ან პირადი მიზნით, საავტორო ჰონორარის გარეშე, მაგრამ აუცილებელად გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორისა და წყაროს მითითება, ამასთანავე ერთ ეგზემპლარად და ნამატის ამოღების გარეშე.(მუხლი 23) ბიბლიოთეკას არა აქვს უფლება მომსახურებისათვის დააწესოს ისეთი საფასური, რომელიც აღემატება გაწეულ ხარჯებს.

ბიბლიოთეკებში დოკუმენტების ასლის გადამღებ მოწყობილობასთან უნდა ხდებოდეს შეკვეთის ბლანკებისა და ქვითრების გამოწერა. ასეთი პრაქტიკა საშუალებას იძლევა მომხმარებლების მიერ გადაღებული დოკუმენტების ასლებთან მუშაობის დროს დაცული იქნეს საავტორო უფლებების კანონის ნორმები, რასაც ადასტურებს ბლანკზე ხელმოწერით. ამასთანავე აღირიცხება გადაღებული მასალების რაოდენობა. (შეკვეთის ბლანკისა და ქვითრის ნიმუშები იხ. მასალის დანართში)

როგორც ,,საბიბლიოთეკო კანონშია" მითითებული ბიბლიოთეკას ბშა-ს საშუალებით შეუძლია მომხმარებელს მიაწოდოს დოკუმენტი ან მისი ასლი. ბშა-ს საშუალებით გაცვლის ორგანიზებისა და ბიბლიოთეკის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა ფონდიდან დოკუმენტების გარკვეული რაოდენობის სრული ასლების დამზადება. ასეთი ასლების წარმოება, იგივე დოკუმენტის კვლავწარმოებად ითვლება და კანონს ეწინააღმდეგება. კანონში

არასაკმარისად არის მოცემული ბიბლიოთეკების უფლებები და მოვალეობანი ბშა-ს საშუალებით გაცვლის ორგანიზების შესახებ. ელექტრონული ფონდების მიღებისას კი წარმოიშვება მისი უფლებამოსილების პრობლემა. უფრო ზუსტად კი ასეთი დოკუმენტის შენახვის, გამოყენების, მისი ასლის გადაღებისა და კვლავწარმოების არაუფლებამოსილება.

ბიბლიოთეკებში დოკუმენტების სამართლებრივი დაცვა (მათ შორის კომპიუტერულ ქსელებში) განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ის ითვალისწინებს ისეთი სამართლებრივი და ტექნიკური ზომების მიღებას, რომელიც მიმართულია ქსელში არასანქცირებული (შემთხვევითი ან განზრახ) ჩართვის, ჩაწერის, კვლავწარმოებისა და პროდუქციის არა კანონიერი გამოყენების თავიდან ასაცილებლად. ამ პრობლემას გააჩნია ორი ასპექტი: სამართლებრივი და ტექნიკური. სამართლებრივი დაცვა იყენებს იურიდიულ ნორმებს, რომელიც ბიბლიოთეკებს საავტორო უფლებების დაცვაში ეხმარება. ამიტომ ბიბლიოთეკების მუშაკებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ საავტორო უფლებების დარღვევის ძირითადი სახეები და მათი თავიდან აცილების გზები.

ყველაზე გავრცელებული დარღვევა დაკავშირებულია ინფორმაციის გამოყენების ქონებრივ სამართალთან. მაგ. ნაწარმოების გამოცემა და მისი ეგზემპლარების გავრცელება, ფილმის ან ვიდეოფილმის ჩვენება, მათ რიცხვში ტელევიზიითა და საკაბელო ქსელით, მისი საავტორო უფლების მფლობელის თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში მისი ქმედების შეწყვეტა ხდება არბიტრაჟული სასამართლოს მიერ. დაცვის სხვა ზომაა – კონტრაფრაქტული (უკანონოდ დამზადებული) ეგზემპლარებისა და მის დასამზადებლად გამოყენებული მასალებისა და ხელსაწყოების დაპატიმრება წინასწარ, სანამ სასამართლო გაიმართება და გადაწყვეტილება იქნება მიღებული. საავტორო უფლების მფლობელს შეუძლია აგრეთვე მოითხოვოს ანაზღაურება იმ ზიანის გამო, რაც კანონის დამრღვევმა მიაყენა (კომპენსაციის სახით). მისი ზომები დგინდება სასამართლოს მიერ.

კანონი ითვალისწინებს იმ დოკუმენტების სამართლებრივ დაცვასაც, რომელიც ეხება კომპიუტერული ინფორმაციის სფეროს. იმ შემთხვევაში თუ დაირღვა კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, აგრეთვე ადგილი აქვს ადამიანისათვის ზიანის მიმყენებელი პროგრამების შექმნასა და გავრცელებას, ექსპლუატაციის წესების დარღვევას ისჯება კანონით.

საავტორო უფლებებისა და მომიჯნავე უფლებების ობიექტების არაკანონიერი გამოყენება, ავტორის სახელის მითვისება ითვალისწინებს სისხლის სამართლის სასჯელს ჯარიმის სახით ან თავისუფლების აღკვეთით.

იურიდიული ნორმები ყოველთვის არ იცავენ ავტორთა უფლებებს. ხშირად ელექტრონული დოკუმენტების საავტორო უფლებების ტექნიკურ დამცველად გამოიყენება კონტროლის, გადაწერის და კვლავწარმოების აპარატული და პროგრამული საშუალებები. მაგ. ინფორმაციასთან სააბონენტო (ტარიფირებული) დაშვება მომხმარებლის მიერ ფასის გადახდის საფუძველზე, რომელიც აძლევს შესაძლებლობას მიიღოს საიდუმლო გასაღები (პაროლი) და უზრუნველყოს მომხმარებლის უფლება პროგრამაში შესასვლელად. ასეთი საშუალებები ბიბლიოთეკისაგან მოითხოვენ რთულ და ძვირადღირებულ ტექნიკურ ღონისძიებებს.

ქსელური ელექტრონული ინფორმაციის დასაცავად სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა საშუალებები გამოიყენება. ესენი შეიძლება იყოს ელექტრონული დოკუმენტების მარკირება (აშშ), სპეციალური ნიშნები (დიდი ბრიტანეთი), რომელიც

არ იშლება და იმის დამადასტურებელია, რომ დოკუმენტს იცავს საავტორო უფლებები და რომ ეს დოკუმენტი ნამდვილია. ელექტრონული დოკუმენტების დაცვის საკითხი ერთად უნდა გადაწყვიტონ პროგრამისტებმა, ბიბლიოთეკარებმა და სხვა სპეციალისტებმა ბიბლიოთეკის ტექნიკური საშუალებებისა და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებით.

პრაქტიკულად ყოველ ბიბლიოთეკაში, საავტორო უფლებების პოლიტიკასთან დაკავშირებით, თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული უნდა იყოს განცხადება, რომელიც მომხმარებლებს გააცნობს მათ მიმართ დაკისრებულ პასუხისმგებლობას საავტორო უფლებებთან დაკავშირებით. მაგ.: კომპიუტერებთან, ინტერნეტში მუშაობის დროს; ასლის გადამღებ აპარატთან და სხვ.

ბიბლიოთეკების მართვა საავტორო უფლებების კონტექსტში მხოლოდ ეხლა იწყებს განვითარებას. მიუხედავად ამისა ამ პროცესის ზემოქმედება ბიბლიოთეკების მუშაობაში უკვე შეიმჩნევა. მხედველობაშია მისაღები, რომ საქართველოში 1999 წელს მიღებული ახალი საკანონმდებლო აქტი (საქართველოს კანონი ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”), ბიბლიოთეკებისათვის არ არის ეფექტური.

ბიბლიოთეკების მართვის საკითხი საავტორო უფლებების კონტექსტში განხილულია სხვადასხვა კონფერენციებზე და თათბირებზე. განსაკუთრებით ეს ხდება მაშინ, როდესაც ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემის განხილვა მიმდინარეობს. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ადამიანის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, რომელიც უშუალოდ ეხება ბიბლიოთეკებისა და ავტორების ურთიერთობას (დოკუმენტების ასლის გადაღება, ელექტრონული ქსელით მიღებული დოკუმენტების დაცვა და სხვ.).

ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით მართვა მიზნად ისახავს ბიბლიოთეკის თანამშრომელთა ურთიერთობას ავტორებთან, შემდგენლებთან, სხვადასხვა ბიბლიოგრაფიულ-ინფორმაციული მასალების შემქმნელებთან, რომელნიც ფლობენ საავტორო უფლებებს და აგრეთვე ადმინისტრაციასთან, სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელთან, მათ რიცხვში გამომცემლობებთან და პოლიგრაფიის განყოფილებებთან თუ ასეთი არსებობს ბიბლიოთეკაში ხელშეკრულების საფუძველზე.

გარეგნულად ინტელექტუალური საკუთრების უფლებებით მართვა ითვალისწინებს ურთიერთობას ბიბლიოთეკასა და ნაწარმოებების ავტორებსა და მათ მემკვიდრეებს შორის, რომელნიც ფლობენ პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს. ამასთანავე ბიბლიოთეკა, როგორც არაკომერციული დაწესებულება, დაინტერესებულია ბიბლიოთეკების ფონდების გამოყენებით მკითხველთა მიერ ან დაზიანებული და დაკარგული ეგზემპლარების აღდგენის მიზნით, დოკუმენტების ასლების გადაღებით. ამ ურთიერთობების მართვა რეგულირდება საავტორო ხელშერულებებისა და ლიცენზირებული შეთანხმებების სისტემების საფუძველზე. როგორც წესი, იდება საავტორო ხელშეკრულებების სხვადასხვა სახეები (უფლებების გადაცემა, შეკვეთის ხელშეკრულება, მზა პროდუქციაზე ხელშეკრულება და სხვ.), სხვადასხვა პირობების გათვალისწინებით (ნაწარმოების გამოყენების მეთოდები, ვადები, ტერიტორია და საავტორო ანაზღაურების გადახდის უფლება, ზომა და წესი). სავალდებულო წესით დადებული ხელშეკრულება ადგენს ორივე მხარის პასუხისმგებლობას მისი დარღვევისათვის. მაგრამ, ასეთი ხელშეკრულებები საავტორო უფლებების ყველა პირობებს ჯერ-ჯერობით ვერ არეგულირებს. ბიბლიოთეკების დოკუმენტების გამოყენება ხდება არა მხოლოდ მატერიალური, არამედ ვიზუალური ფორმითაც, ელექტრონული ქსელის საშუალებით.

ამჟამად აქტიური მუშაობა მიმდინარეობს იმ გზების საძებნად, რომელიც ერთის მხრივ გადაჭრის ელექტრონული დოკუმენტების მკითხველთა ფართო წრისათვის თავისუფლად გამოყენების და მეორეს მხრივ სამართლებრივი დაცვის საკითხებს. რუსეთმა 2000 –2001 წწ. შეიმუშავა ელექტრონული ბიბლიოთეკის კონცეფცია, რომელმაც დიდი ყურადღება დაუთმო საავტორო უფლებების პრობლემებს. ამ კონცეფციის მიხედვით ის იღწვის, რათა ელექტრონული ბიბლიოთეკა გახადოს მკითხველთა ფართო წრისათვის მისაწვდომი. ამასთან ერთად, მას აქვს უფლება მომხმარებელს დოკუმენტები ელექტრონული სახით წარუდგინოს. ელექტრონულ ფორმაზე შეიძლება გადავიდეს არა მხოლოდ ის გამოცემები, რომლებზედაც გავიდა საავტორო უფლების ვადა, არამედ ყველა ის ნაწარმოებები, რომელსაც შეეხო ეს კანონი. ამ შემთხვევაში იდება ტიპიური ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს ბიბლიოთეკის უფლებებსა და დოკუმენტების გამოყენების პირობებს, ანუ ბიბლიოთეკის ურთიერთობას ნაწარმოების ავტორებთან და სხვა საავტორო უფლებამფლობელებთან.

ელექტრონულ ბიბლიოთეკებში სხვა ორგანიზაციების დოკუმენტების ჩართვა ხდება აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე, ორივე მხარის ინტერესების, ლიცენზირებისა და სამართლებრივი სიწმინდის დაცვით. საერთო საინფორმაციო ქსელიდან ელექტრონულ ბიბლიოთეკაში დოკუმენტების ჩართვისას ტარდება მისი ექსპერტიზა ლიცენზირებისა და სამართლებრივი სიწმინდის დასაზუსტებლად. ასეთი პრაქტიკა ფართოდ გამოიყენება საზღვარგარეთ. აშშ-ში ლიცენზირების პრაქტიკა წარმოადგენს ინფორმაციის ელექტრონულ ქსელში დაშვების დარეგულირების საშუალებას. ამ მიზნით ბიბლიოთეკებისათვის, რომლებიც დებენ ხელშეკრულებებს, შექმნილია სპეციალური მეთოდური რეკომენდაციები.

საქართველოს კანონის ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" თანახმად ნაწარმოებთა ავტორებს ან საავტორო უფლებების მქონე სხვა პირებს შეუძლიათ თავისი ქონებრივი უფლებები გადასცენ სხვა პირებს ხელშეკრულების საფუძველზე. საავტორო ხელშეკრულებით გადაცემული უფლება ითვლება ჩვეულებრივ უფლებად, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის მითითებული (მუხლი 38).

ნაწარმოების შექმნის საავტორო ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების მიხედვით ავტორი კისრულობს ვალდებულებას, შექმნას ნაწარმოები ხელშეკრულების პირობების მიხედვით და გადასცეს ის შემკვეთს, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს ავტორს ჰონორარი.(მუხლი 43). საავტორო ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს: ნაწარმოების ზუსტი აღწერა (ჟანრი, მოცულობა, სახელწოდება), ნაწარმოების გამოყენების კონკრეტული სახეები, უფლების გადაცემის ვადა, ჰონორარის ოდენობა ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესი და სხვა პირობები (მუხლი 40). ნაწარმოების იმ სახით გამოყენება, რომელიც საავტორო ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული, ეკუთვნის ავტორს. თუ საავტორო ხელშეკრულებაში არ არის მოცემული უფლების გადაცემის ვადა, ხელშეკრულება შეიძლება გააუქმოს ავტორმა მისი დადებიდან 3 წლის შემდეგ. მოსარგებლეს კი ეცნობება ამის შესახებ 6 თვით ადრე. ჰონორარის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. (მუხლი 40) ის მხარე, რომელიც არ შეასრულებს საავტორო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით. (მუხლი 44)

საავტორო უფლებების დაცვა აშშ-ის კანონმდებლობით

აშშ-ის კანონი საავტორო უფლებების შესახებ განსხვავდება ევროპის სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან. ამ კანონის მიხედვით ავტორის უფლება განიხილება, როგორც ბუნებრივი უფლება და თვითმიზანი. ამერიკული ტრადიციით საავტორო უფლება არის ადამიანის ცოდნის განვითარების საშუალება, სტიმული, რომელიც ავტორებს საზოგადოებისათვის სასარგებლო ნაწარმოებების შესაქმნელად განაწყობს.

პირველი კანონი საავტორო უფლებების შესახებ აშშ-ში გამოვიდა 1976 წელს, რომელიც ძალაში შევიდა 1978 წელს. ამ კანონის მიხედვით საავტორო უფლებების კანონი ვრცელდება ორიგინალურ საავტორო ნაწარმოებებზე, განურჩევლად მისი გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა. ხოლო საავტორო უფლების მოქმედების ვადაა ავტორის სიცოცხლის პერიოდი და შემდგომი 50 წელი. 1978 წლის შემდეგ შექმნილი ნაწარმოებებისათვის, დაკვეთით, ფსევდონიმით ან ანონიმური, დაცულია 75 წელი, მისი პირველი გამოქვეყნებიდან ან 100 წლით მისი შექმნიდან, იმის გათვალისწინებით რომელი უფრო ადრეულია.

აშშ-ის 1976 წლის კანონი საავტორო უფლებების შესახებ უფლებას აძლევს ბიბლიოთეკებს აწარმოონ ან გაავრცელონ ნაწარმოების ერთი ასლი ან ხმისჩანაწერი, თუ განმეორებით წარმოებას არა აქვს პირდაპირი ან ირიბი კომერციული სარგებელი და ბიბლიოთეკის ფონდი ღიაა მოსახლეობისათვის და მკვლევართათვის. ამასთანავე დაშვებულია: ბიბლიოთეკის მიერ დაკარგული, გაცვეთილი ან დაზიანებული ეგზემპლარის შეცვლა ფაქსიმილეთი (ზუსტი ასლი ფოტომექანიკური წესით); სხვა ბიბლიოთეკის მოთხოვნით ცალკეული სტატიის ან კრებულის ნაწილის ასლის გადაღება. ფოტოასლები, რომლებიც მიიღება ბიბლიოთეკების საშუალებით, არ შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა მიზნებისათვის, გარდა პირადი სასწავლო, სამეცნიერო ან კვლევითი მუშაობისათვის. ,,კეთილსინდისიერი გამოყენების" საზღვრების დარღვევისათვის მომხმარებელი შეიძლება მიცემული იქნეს სამართალში. ბიბლიოთეკები იტოვებენ უფლებას უარი თქვან ასლის გადაღების შეკვეთაზე, თუ მისი შესრულება არღვევს საავტორო უფლებების კანონს.

შეღავათები ,,სისტემატური კოპირებისა და გავრცელების" მიმართ არ ეხება ბიბლიოთეკათაშორის აბონემენტს, რომლის მიზანსაც არ წარმოადგენს ბიბლიოთეკიდან მიღებული ასლებით შეცვალოს ცალკეულ ნაწარმოებებზე ხელმოწერა ან მისი შესყიდვა. ,,სისტემატური ასლის გადაღება" ხდება მაშინ, როდესაც ბიბლიოთეკა ახდენს მასალის ასლის გადაღებას სხვა ბიბლიოთეკებისათვის ან მომხმარებელთა ჯგუფებისათვის, ხელმოწერის შესაცვლელად. ,,სისტემატური ასლის გადაღების" მაგალითებია:

- ბიბლიოთეკა, რომელსაც გააჩნია ბიოლოგიური ჟურნალების ფონდი, აწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ ბიბლიოთეკებს, რომ დაამზადებს ჟურნალების სტატიების ასლებს სხვა ბიბლიოთეკებისა და მომხმარებელთათვის. შედეგად: სხვა ბიბლიოთეკები ხელმოწერას ჟურნალზე აუქმებენ;
- კვლევითი ცენტრი იწერს საჭირო პერიოდული გამოცემის 1-2 ეგზემპლარს. სტატიების ფოტოასლების შექმნისას ცენტრს შეუძლია წარუდგინოს მასალა თავის თანამშრომლებს, რომელნიც თავს შეიკავებენ მრავალი გამოცემის ხელმოწერისაგან;

- საბიბლიოთეკო სისტემის რამოდენიმე ფილიალი მოილაპარკებს, რომ კონკრეტულ ჟურნალზე ხელმოწერას გააფორმებს მხოლოდ ერთი და დაამზადებს გამოქვეყნებული სტატიების ასლებს სხვა ფილიალებისათვის.

დამატებითი რეკომენდაციები საბიბლიოთეკო ფოტოასლების გადაღებისა და ბიბლიოთეკათშორისო აბონემენტის შესახებ შემუშავებული იქნა 1976 წელს ნაციონალური კომისიის მიერ (CONTU). ამ კომისიის რეკომენდაციები მისაღებია მხოლოდ 5 წლით ადრე გამოცემული პერიოდიკის ასლებისათვის.

ფოტოასლების გადაღების შეღავათები არ ვრცელდება: მუსიკალურ ნაწარმოებებზე, ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურის ნაწარმოებებზე, კინოფილმებსა და აუდიოვიზუალურ ნაწარმოებებზე (გარდა ახალი ამბების ქრონიკისა). აშშ-ის საავტორო უფლებების კანონით ბიბლიოთეკა არ იღებს პასუხისმგებლობას მის შენობაში ასლის გადამღები მოწყობილობის უკონტროლო გამოყენებაზე. კანონი მხოლოდ მომხმარებელს აკისრებს პასუხისმგებლობას დარღვევებზე.

საავტორო ჰონორარის მინიმალური განაკვეთები

როგორც უკვე ავღნიშნეთ საავტორო ნაწარმოებების გამოყენებისას საავტორო ჰონორარის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, რომელიც დაიდება ნაწარმოების ავტორსა და მოსარგებლე პირს (ან ორგანიზაციას) შორის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მკითხველებისათვის მრავალი მომსახურებებია გათვალისწინებული. დადგმულია ასლის გადამღები მოწყობილობები, სადაც თავისუფლად არის შესაძლებელი საჭირო დოკუმენტის ასლის გადაღება. მომხმარებლები იხდიან მხოლოდ ქსეროქსის ფასს. მუსიკალურ-აუდიოვიზუალური განყოფილება აწარმოებს ფირფიტებიდან მუსიკის გადაწერას კასეტებზე. ფირფიტა არის 53 წუთიანი და მომხმარებელი ამაში იხდის 3 ლარს (ე.ი. 1 ფირფიტის გადაწერა – 3 ლარი). ძირითადად მოთხოვნაა ძველი კლასიკური ნაწარმოებების გადაწერაზე. საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე ხდება მომხმარებლის მომსახურება. ნოტების ასლების გადაღებისას კი მომხმარებელი იხდის მხოლოდ ქსეროქსის საფასურს. ამ შემთხვევაში ბიბლიოთეკის ქმედება არ ჩაითვლება კომერციულ საქმიანობად.

კანონის თანახმად თუ ბიბლიოთეკის საქმიანობა არაკომერციულია, ე.ი. მომხმარებელთა მოთხოვნით წარმოებს დოკუმენტის ასლის გადაღება მხოლოდ ერთ ეგზემპლარად, სასწავლო და პირადი გამოყენების მიზნებისათვის, მომხმარებელი კი ამაში იხდის მხოლოდ ქსეროქსის საფასურს, ბიბლიოთეკა არ არის ვალდებული დოკუმენტის ავტორს ან საავტორო უფლების სხვა მფლობელს გადაუხადოს ჰონორარი. ბიბლიოთეკა იმ შემთხვევაში უხდის ავტორს ჰონორარს, როდესაც მის ნაწარმოებს იყენებს მოგების ანუ კომერციული მიზნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ტექსტების ცენტრი აწარმოებს მხატვრული, სამეცნიერო და რელიგიური ლიტერატურის შეტანას ინტერნეტში, რომელთანაც დაშვება თავისუფალია ყველასათვის. ამასთანავე შესაძლებელია პირადი სარგებლობისათვის უფასოდ საჭირო ტექსტის ამობეჭდვა.

ამგვარად, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საავტორო ნაწარმოებების ასლის გადაღება პირადი სარგებლობისათვის მომხმარებლებს შეუძლიათ საავტორო ჰონორარის გადახდის გარეშე.

მაგრამ ალბათ საინტერესოა გავეცნოთ ჩვენი მეზობელი ქვეყნის, რუსეთის კანონს საავტორო ჰონორარის მინიმალური განაკვეთების შესახებ.

რუსეთის კანონის მიხედვით მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას კლუბებში, დისკოთეკებზე, კაფეებში და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში გამართულ ღონისძიებებზე , სადაც შესვლა ფასიანია, საავტორო ჰონორარი განისაზღვრება შემოსული თანხის (გაყიდული ბილეთების) 5 %-ით. რომელიმე საჩვენებელ პროგრამაზე გამოყენებული მუსიკის ავტორს საავტორო ჰონორარი ეკუთვნის შემოსავლის 2 %. თუ ავტორსა და ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის აღნიშნული.

საავტორო ჰონორარის გადახდა მუსიკალური ნაწარმოებების კვლავწარმოებისა (გრამფირფიტაზე, მაგნიტოფონზე, დისკზე, კომპაქტ-დისკზე ჩაწერა, გადაწერა) და მისი შემდგომი გაცემისა და გაქირავების დროს ხდება კლიენტისგან აღებული თანხიდან (პროცენტებში):

1. ნაწარმოების კვლავწარმოებისას (მექანიკურ ხმის ჩამწერზე) – ყოველი ეგზემპლარის გაცემის თანხიდან 8 %;

2. ინდივიდუალური შეკვეთით ხმის ჩანაწერის ერთეული ეგზემპლარის დამზადებისას აღებული თანხიდან 8 %;

3. ხმის ჩანაწერი ეგზემპლარების გაქირავებიდან მიღებული თანხის 8 %;

4. აუდიოვიზუალური ნაწარმოების ყოველი ეგზემპლარის გაქირავებიდან მიღებული მოგებიდან 5 %.

რუსეთის ამ დებულებით მიღებული განაკვეთები არის მინიმალური და გამოიყენება მაშინ, როდესაც ავტორსა და ფიზიურ პირსა ან ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით არ არის სხვა რამ გათვალისწინებული და ჰონორარის ოდენობა არ არის დაინტერესებული პირების დავის საგანი. საავტორო ჰონორარის გადამხდელები არიან იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც აწარმოებენ ნაწარმოების კვლავწარმოებას ხმოვანი (მექანიკური) ჩანაწერით, მისი გავრცელების ან გაქირავების მიზნით. ამ საკითხებზე იხ. ინტერნეტში www.Lav.copyright.ru (подзаконные нормативные акты).

საქართველოში ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებების გამოყენებისას (კვლავწარმოებისას) საავტორო ჰონორარების მინიმალური განაკვეთი ჯერ-ჯერობით არ არსებობს. ჰონორარის ოდენობისა და მისი გადახდის წესების დადგენა ხდება დაინტერესებულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა შორის ხელშეკრულების დადების საშუალებით ან ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ,,საქპატენტის" მეშვეობით.

<u>დ ა ნ ა რ თ ი :</u>

ბიბლიოთეკებში დოკუმენტების ასლის გადაღების შეკვეთის ბლანკისა და ქვითრის ნიმუშები

შეკვეთა № _____

ბიბლიოთეკის ფონდიდან მასალის ასლის გადაღებისა

მე _____

გვარი, სახელი

მკითხველის ბილეთი № _____ გთხოვთ სასწავლო / კვლევითი მიზნით გადამიღოთ შემდეგი მასალის ასლი:

№	მასალის დასახელება, შიფრი	გვერდები .....დან ..... მდე	გადაღებული გვერდების რაოდენობა

ასლების რაოდენობა მთლიანად:

ვიღებ ვალდებულებას გადაღებული მასალის ასლებთან მუშაობის დროს დავიცვა საავტორო უფლებების კანონის ნორმები

შეკვეთის გაფორმების თარიღი _____ მომხ. ხელმოწერა_____

გადახდილი თანხა _____

შეკვეთა და თანხა მიიღო _____

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შეკვეთის შესრულების ვადა _____

რიცხვი, დრო

ქვითარი

ბიბლიოთეკის ფონდიდან მასალის ასლის გადაღების შეკვეთა № _____

მიღებულია _____

გვარი, სახელი

მკითხველის ბილეთი № _____ ასლის გადაღებაზე _____

გვერდების რაოდ.

თანხა _____

ციფრებით და ასოებით

შეკვეთის შესრულების დრო _____

შეკვეთა გააფორმა _____

პასუხისმგ. პირის ხელმოწერა

შეკვეთის მიღების დრო _____

შენიშვნა: მომხმარებელს ასლები გადაეცემა მხოლოდ ქვითრის წარმოდგენის შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ.- საქართველოს პარლამენტი.- თბილისი, 1999, 22 ივნისი
2. ,,საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარი / დ.ძამუკაშვილი, რ.შენგელია, დ.გაბუნია, ვ.ხრუსტალი, ს.ჯორბენაძე.- თბ., 2003.
3. Правовые аспекты деятельности библиотек: сб. науч. Ст. / Сост: О.Ф.Бойкова; Науч. Ред. В.К.Клюев / Рос. Гос. Б-ка. НИО библиотековедения. Сектор библ. Права.- М.: Пашков дом, 2002.
4. Бойкова О.Ф. Библиотечная практика и авторское право: Науч.- практ. Пособие.- М.: Либерея, 2004.
5. Библиотека и закон: справочник.- вып.3.- М., 1997.
6. Библиотека и закон: справочник.- вып.6.- М., 1999.